

მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული

რუსეთის ეკლესიის ისტორია  
(სალექციო კურსი)  
ნაწილი მეორე  
1801-1900

გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი  
2009

სალექციო კურსში გაშუქებულია მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია XIX საუკუნეში.

რედაქტორი პროფ. გიორგი პაპუაშვილი

#### ავტორებისგან

„რუსეთის ეკლესიის ისტორიის“ სალექციო კურსის მეორე ნაწილი მოიცავს XIX საუკუნეს. ზოგიერთი საკითხის განხილვამ მოითხოვა მოკლედ შევხებოდით XVIII საუკუნის საკითხებსაც (პეტრე I-ის, ეკატერინე II-ისა და სხვა იმპერატორების საეკლესიო პოლიტიკას). წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველს გაუჭირდებოდა იმპროცესების გააზრება, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ეკლესიაში XIX საუკუნეში. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გადატანილია რუსეთის საიმპერატორო კარისა (იმპერატორები ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, ალექსანდრე III) საეკლესიო პოლიტიკაზე, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის საეკლესიო მოღვაწეობაზე, რუსეთის ეკლესიაში გატარებულ რეფორმებზე, რუსეთის ეკლესიის ურთიერთობაზე რომის კათოლიკურ, უნიატურ და პროტესტანტულ ეკლესიებთან, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქრისტიან ხალხებთან. ცალკე თავი ეძღვნება საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობას, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ცალკე თავადაა წარმოდგენილი რუსეთის ეკლესიის საგანმანათლებლო კერების ისტორია.

პროფ. მერაბ ვაჩნაძე

პროფ. ვახტანგ გურული

**თავი პირველი. რუსეთის მართლმადიდებელი  
ეკლესიის უწმიდესი სინოდი  
ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდში (1801-1825)**

XIX საუკუნის დამდეგს იმპერატორ ალექსანდრე I-ის (1801-1825) მიერ გატარებული რეფორმები ეკლესიასაც შეეხო. იმპერატორის უახლოესი თანამოაზრე და რეფორმების შემოქმედი იყო **მიხეილ სპერანსკი** (1772-1839). მიხეილ სპერანსკი საეკლესიო წოდებიდან იყო და ამდენად კარგად იცნობდა რუსეთის ეკლესიაში შექმნილ ვითარებას, სასულიერო წოდების მდგომარეობას. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მიხეილ სპერანსკის სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული – სწავლობდა ჯერ ვლადიმირის, შემდეგ კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. ალექსანდრე I-ის თანამოაზრეთა წრეში (ვიქტორ კუჩუბეი, პავლე სტროგანოვი, ნიკოლოზ ნოვოსილცევი, ადამ ჩარტორიცი). მიხეილ სპერანსკის ინიციატივით იხილებოდა სამღვდელთა განათლების დონის ამაღლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხი. ამ საკითხზე პროექტის მომზადება თავად მიხეილ სპერანსკის ჰქონდა დავალებული.

1803 წელს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორად დაინიშნა იმპერატორის ბავშვობის მეგობარი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი **ან. გოლიცინი**. ახალი ობერ-პროკურორი არ იყო ეკლესიური ადამიანი. იგი ეკლესიისა და რწმენის საკითხს XVIII საუკუნის განმანათლებლობის პოზიციიდან უყურებდა, ერთ ხანს სხვადასხვა რელიგიურ სექტებსაც კი მფარველობდა. ცხადია, ასეთი ადამიანი ვერ იქნებოდა შესაფერისი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობისათვის. სამაგიეროდ, რეფორმების პერიოდში რუსეთის ეკლესიის ინტერესების დაცვა თავს იღვეს უწმიდესი სინოდის წევრებმა: მიტროპოლიტმა ამბროსიმ (), ეპისკოპოსებმა: მეთოდემ (სმირნოვმა), ანასტასიმ (ბრატანოვსკი), ევგენიმ (ბოლხოვიტინოვმა) და სხვებმა. ეპისკოპოსი **მეთოდე** წლების განავლობაში ვორონეჟის, კოლომნის, ტულისა და ტვერის წარმატებით იღწვოდა სასწავლებლის დაარსებისა და სასულიერო განათლების სისტემის გაუმჯობესებისათვის. მიტროპოლიტ ამბროსის, ქორეპისკოპოსსა და სტარაია რუსას ეპისკოპოს **ევგენის** განათლება მიღებული ჰქონდათ მოსკოვის სასულიერო აკადემიასა და მოსკოვის უნივერსიტეტში. სასულიერო განათლების სისტემის რეფორმის პროექტის მომზადება ეპისკოპოს მეთოდეს დაევალა. 1805 წლისათვის მას უკვე მზად ჰქონდა რეფორმის პროექტის ის ნაწილი, რომელიც სასწავლო და ადმინისტრაციულ საკითხებს ეხებოდა. პროექტის ეკონომიკური ნაწილი ეპისკოპოსმა **ანასტასიმ** შეიმუშავა. 1807 წელს განათლების სისტემის გარდაქმნისა და სასულიერო წოდების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე რეფორმის პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა **განსაკუთრებული კომიტეტი**, რომელშიც შევიდნენ სასულიერო პირები: მიტროპოლიტი **ამბროსი**, ეპისკოპოსი **თეოფილაქტე (რუსანოვი)**, პროტოპრესვიტერი **ს. კრასნოპეკოვი**, მღვდელი **ი. ღერუჟინი**, საერო პირები: რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი თავადი ან. გოლიცინი და მ.მ. სპერანსკი. 1808 წელს განსაკუთრებულმა კომიტეტმა წარმოადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა: ა) სასულიერო განათლების ახალი სისტემის შექმნას ბ) სასულიერო უწყებისათვის დიდი რაოდენობით ფინანსების მოძიებას.

1807 წელს რუსეთის სასულიერო განათლების მართვის მიზნით შეიქმნა **სასულიერო სასწავლებლების კომისია**, რომლის წევრები სასულიერო დას აერო პირები იყვნენ. სასულიერო სასწავლებლების კომისია რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდთან

არსებობდა და, ამდენად, საერთო სარუსეთო ორგანოს წარმოადგენდა. თუ წინათ სასულიერო სასწავლებლებს ეპარქიების მმართველობა განაგებდა, ამიერიდან ეპარქიებში არსებული სასწავლებლები ერთ ცენტრალურ უწყებას დაექვემდებარებოდნენ. რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდთან არსებული სასულიერო სასწავლებლების კომისიის საოლქო (საოკრუგო) ორგანობად (დაწესებულებებად) იქცნენ **სასულიერო აკადემიები**. სასულიერო აკადემიებთან შეიქმნა **სასწავლო კონფერენციები**, რომლის წევრებიც იყვნენ სასულიერო აკადემიის პროფესორები და მეცნიერები ადგილობრივი სამღვდელოების წრიდან. სასწავლო კონფერენციების კომპეტენციაში შედიოდა: სასულიერო ხასიათის წიგნების ბეჭდვის ნებართვის გაცემა (ცენზურა), სამეცნიერო ხარისხის მინიჭება, სასულიერო სასწავლებლების სასწავლო პროცესებისადმი ხელმძღვანელობა. სასულიერო სასწავლებლებზე ყოველდღიური ზრუნვა ევალებოდა პირადად ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსს და არა ზოგადად ეპარქიის მმართველობას. სასულიერო წოდების ეკონომიკური მდგომარეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პროექტის მეორე ძირითად ნაწილს შეადგენდა. ამ შემთხვევაში უმთავრესი იყო ფინანსების მოძიება. აუცილებელი ფინანსები შემდეგი წყაროებიდან უნდა მოეძიებინათ: ა) რუსეთის ყველა ეკლესიას უნდა გაეღო თავისი შემოსავლის ნაწილი (დაახლოებით 5 600 000 მანეთი). ეს თანხა შეტანილი იქნებოდა ბანკში. ყოველწლიურად ბანკში სეტანილ თანხას დაერიცხებოდა ბანკის პროცენტი, რაც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა; ბ) რუსეთის ეკლესიებში სანთლის გაყიდვის შედეგად სემოსული თანხის ნაწილი (დაახლოებით 3 000 000 მანეთი) ასევე შეტანილი იქნებოდა ბანკში და ამ დაერიცხებოდა ყოველწლიური მოგება; გ) ბანკში შეტანილი იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკლესიისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა (დაახლოებით 1 353 000 მანეთი). ექვსი წლის განმავლობაში სამივე წყაროდან შეტანილ თანხას დაერიცხებოდა საერთო თანხის 5 %-იანი მოგება. ავტორთა გაანგარიშებით, ექვსი წლის მანძილზე ბანკში შეტანილი თანხის მოგება უნდა ყოფილიყო 24 949 000 მანეთი. ე სკი იმას ნიშნავდა, რომ უწმიდეს სინოდს ყოველწლიურად სასულიერო განათლების სისტემის შესანახავად და სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეეძლებოდა დაეხარჯა 4 247 450 მანეთი. რეფორმის პროექტის ავტორთა გაანგარიშებით ეს თანხა რამდენიმე წელიწადში 7 500 000 მანეთამდე გაიზრდებოდა. ეს იყო სავსებით რეალური გეგმა, თუმცა იგი ცხოვრებაში ვერ განხორციელდა. ეკლესიები მალაღდნენ შემოსავლის დიდ ნაწილს და, შესაბამისად, ბანკშიც ნაკლები თანხა შედიოდა. ეკლესიის რეფორმას გადაულახავი წინააღმდეგობები შეუქმნა 1812 წლის სამამულო ომმა. და ომის შემდეგ რუსეთის ეკონომიკაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ. რუსეთის ეკლესიებმა დიდი რაოდენობით თანხები გაიღეს ომის საჭიროებისათვის. სულ უწმიდესმა სინოდმა სახელმწიფოს გადასცა 1,5 მილიონი მანეთი. იმოსაგან გაჩანაგებული რუსეთის ეპარქიები, ეკლესიები და მონასტრები რომ ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ დიდი სახსრები იყო საჭირო. უწმიდესმა სინოდმა ამისთვის 3,5 მილიონი მანეთი გამოყო. ამ გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა გამოიწვია ის, რომ 1815 წელს რუსეთის ეკლესიის ანგარიშზე ბანკში დაგეგმილი 24 მილიონის ნაცვლად აღმოჩნდა მხოლოდ 15 მილიონი მანეთი. ამ რაოდენობის თანხაზე წლიური დანარიცხი კი საკმარისი არ იყო რეფორმების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

1812 წლის სამამულო ომმა რუსეთში პატრიოტული გრძნობის გამძაფრება გამოიწვია. შეიცვალა ეკლესიისადმი XVIII საუკუნეში განმანათლებლების გავლენით დამკვიდრებული დამოკიდებულება. შეირყა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თავად ან. გოლიცინის პოზიციები. 1813 წელს ან. გოლიცინი და უწმიდესი სინოდის მთელი შეადგენლობა, გარდა მიტროპოლიტ **ამბროსიას**, გადააყენეს. მიტროპოლიტ ამბროსის

ქორეპისკოპოსად **ევგენის (ბოლხოვიტინოვის)** ნაცვლად დაინიშნა შემდეგში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე **ფილარეტ დროზდოვი**.

ქორეპისკოპოსი ფილარეტი (დროზდოვი) დაიბადა 1782 წელს კოლომენსკოელი დიაკონის ოჯახში. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ასწავლიდა სემინარიაში. 1808 წელს ფილარეტ დროზდოვი ბერად აღიკვეცა. 1809 წელს ფილარეტი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გადაიყვანეს და მალე იგი გახდა მიტროპოლიტ ამბროსის უახლოესი თანამოზრე და თანამებრძოლი. ფილარეტს პეტერბურგში მტრულად შეხვდა ეპისკოპოსი თეოფილაქტე (რუსანოვი), რომელიც მაშინ ერთპიროვნულად განაგებდა სასულიერო სასწავლებლების კომისიას და, ამავე დროს, დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. ეპისკოპოსი თეოფილაქტე ერთი წლის განმავლობაში აფერხებდა ფილარეტისთვის ლექციების წაკითხვის უფლების მინიჭებას. მალე ფილარეტმა პეტერბურგში სახელი გაითქვა ქადაგებებით. 1811 წელს, შურისძიების მიზნით, ეპისკოპოსმა თეოფილაქტემ ფილარეტი ერესში ამხილა. საქმე იმპერატორამდე მივიდა და ფილარეტის გამარჯვებით დასრულდა. 1811 წელს ფილარეტი არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი, ხოლო 1812 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორად დაინიშნა. მალე ეპისკოპოს თეოფილაქტეს პოზიციები შეირყა. 1813 წელს იგი რიაზანის მმართველ ეპისკოპოსად გადაიყვანეს, ხოლო 1817 წელს საქართველოში გაგზავნეს ეგზარქოსად. ეპისკოპოს თეოფილაქტეს შემდეგ სასულიერო აკადემიაში ყველაზე ავტორიტეტული წევრი არქიმანდრიტი ფილარეტი გახდა. 1817 წელს მას ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 1817 წელს არქიმანდრიტი ფილარეტი ეპისკოპოსად აკურთხეს და დაინიშნა რეველის ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსად, იმავდროულად იყო მიტროპოლიტ ამბროსის ქორეპისკოპოსი.

1817 წლიდან საეკლესიო რეფორმა შეფერხდა. 1817 წლის 24 ოქტომბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტის ძალით შეიქმნა ახალი სამინისტრო – **სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტრო**. იმპერატორმა მინისტრად დაინიშნა ყოფილი ობერ-პროკურორი თავადი **ან. გოლიცინი**. ახალი სამინისტროს **სასულიერო დეპარტამენტში** ეკლესიისა და რწმენის საკითხებზე XVIII საუკუნის განმანათლებლების შეხედულებებით გაბატონდა. რუსეთში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა **მისტიციზმი**. ძალზე აქტიურობდა და მრავა ახალ წევრს იძენდა **ბიბლიური საზოგადოება** (შეიქმნა 1813 წელს) რომლის თავჯდომარეც თავად ან. გოლიცინი იყო. სწორედ, ბიბლიური საზოგადოება გახდა მისტიკოსებისა და ცრუ წინასწარმეტყველების გამაერთიანებელი ორგანიზაცია. ყოველივე ეს მინისტრ ან. გოლიცინის ხელშეწყობითა და მფარველობით ხდებოდა. ან. გოლიცინის პოლიტიკის წყალობით, რუსეთში უწმიდესი სინოდის როლი დაკნინდა. უწმიდესი სინოდი თავისი მდგომარეობით გაუტოლდა რუსეთის იმპერიაში არსებულ **ევანგელისტთა კონსტიტორიას, კათოლიკურ კოლეგიას, ებრაელთა და სომეხთა სასულიერო მმართველობებს**. ან. გოლიცინმა ეს არ იკმარა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი აქცია არა იმპერატორის არამედ მინისტრიც წარმომედგენლად უწმიდეს სინოდში.

მიტროპოლიტი ამბროსი უწმიდესი სინოდის როლის დაკნინებას არ შეურიგდა და ხმა აიმაღლა სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრიც თავად ან. გოლიცინის წინააღმდეგ. მიტროპოლიტ ამბროსის ეს არ აპატიეს, 1818 წლის მარტში უწმიდესი სინოდის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და ნოვგოროდის ეპარქია ჩააბარეს. ორი თვის შემდეგ მიტროპოლიტი ამბროსი გარდაიცვალა. მიტროპოლიტი ამბროსის ნაცვლად უწმიდესი სინოდის წევრი გახდა ჩერნიგოვის მთავარეპისკოპოსი **მიხეილი (დესნიცკი)**. მალე იგი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს.

თავად ან. გოლიცინმა მიხეილის უწმიდესი სინოდის წევრად დანიშვნა იმიტომ გადაწყვიტა, რომ იცოდა წინა წლებში მისტიციზმით მისი გატაცების შესახებ. მინისტრი შეცდა. ან. გოლიცინის ხელშეწყობით რუსეთში მისტიციზმი იმდენად გაძლიერდა, რომ 1821 წელს მიტროპოლიტი მიხეილი იძულებული გახდა წინ აღდგომოდა მისტიციზმის უსაზღვრო გაძლიერებას. 1821 წელს მიტროპოლიტმა მიხეილმა თხოვნით მიმართა იმპერატორს ეხსნა რუსეთის ეკლესია მინისტრ ან. გოლიცინის დამლუპველი პოლიტიკისაგან. მიტროპოლიტის წერილმა გააპგნა იმპერატორი, მით უფრო, რომ წერილის გაგზავნიდან ორი კვირის შემდეგ მიტროპოლიტი მიხეილი მოულოდნელად გარდაიცვალა. სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრ ან. გოლიცინის პოზიციები შეირყა. მინისტრს ღიად დაუპირისპირდა იმპერატორის ფრავორიტი გრაფი **ალექსი არაქჩევი**. მიტროპოლიტი მიხეილის ნაცვლად უწმიდესი სინოდის წევრად დაინიშნა მიტროპოლიტი **სერაფიმე (გლაგოლევსკი)**. იგი ცნობილი იყო როგორც კონსერვატორი და მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი.

მიტროპოლიტმა სერაფიმემ ბრძოლა გამოუცხადა **ბიბლიურ საზოგადოებას**. ბიბლიური საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლაში წამყვან როლს ასრულებდა არქიმანდრიტი **ფოტი (სპასკი)**, რომელიც იმხანად **ქ. იურევის** მონასტერში მსახურობდა. არქიმანდრიტი ფოტი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო. იგი ცნობილი იყო თავისი ასკეტიზმითა და მართლმადიდებლური დოგმების დაცვისას შეუპოვრობით. იყო მჭერმეტყველი და არ ერიდებოდა ძლიერთა ამა სოფლისათა მხილებას. არქიმანდრიტ ფოტის პატივს სცემდა რუსეთის არისტოკრატია, იმპერატორის გარემოცვა, მათ შორის ალექსი არაქჩევი (1769-1834). არქიმანდრიტ ფოტის სულიერი შვილი იყო უმდიდრესი გრაფის ქალი, თავისი ქველმოქმედებით ცნობილი **ა. ა. ორლოვა-ჩესმენსკაია**. არქიმანდრიტმა ფოტიმ მისტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა აღრევე დაიწყო. იგი იმხანად პეტერბურგის კადეტთა კორპუსში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1820 წელს ფოტი პეტერბურგიდან გააძევეს. იგი ერთ-ერთ მონასტერში აგრძელებდა მოღვაწეობას. იქ მან შემთხვევით გაიცნო ალექსი არაქჩევი და მისი დახმარებით ქ. იურევის მონასტერში გადავიდა. 1822 წელს არქიმანდრიტი ფოტი მიტროპოლიტმა სერაფიმემ პეტერბურგში გადაიყვანა და წამყვანი როლი დააკისრა მისტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფოტი ენერგიულად შეუდგა დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

პეტერბურგში გადასვლის შემდეგ არქიმანდრიტმა ფოტიმ რამდენჯერმე გაუმართა პოლემიკა მისტიკოსებს. ფოტის პიროვნებით დაინტერესდა იმპერატორი. მალე შედგა არქიმანდრიტი ფოტისა და იმპერატორ ალექსანდრე I-ის შეხვედრა. ფოტის ქადაგებამ იმის თაობაზე თუ რა საფრთხე ელოდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას მისტიციზმისაგან იმპერატორზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრ თავად ან. გოლიცინის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ადმირალი **ალექსანდრე შიშკოვი (1754-1841)**. 1824 წლის გაზაფხულზე, როცა ან. გოლიცინის გადასაყენებლად ნიადაგი მომზადებული იყო, გრაფის ქალის **ა. ა. ორლოვა-ჩესმენსკაიას** სასახლეში არქიმანდრიტმა ფოტიმ საჯაროდ ამხილა მინისტრი ან. გოლიცინი. ფოტიმ მინისტრისგან მოითხოვა კავშირის შეწყვეტა ცრუ წინასწარმეტყველებთან, ასევე მონანიება რუსეთის ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის გამო. იმავდროულად, არქიმანდრიტმა ფოტიმ იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა ორი მოხსენება. საკმაოდ მკაცრი და მამხილებელი ტონით ფოტი იმპერატორს წერდა იმ საფრთხის თაობაზე, რაც მისტიციზმისაგან ელოდა არა მარტო რუსეთსა და რუსეთის ეკლესიას, არამედ ყველა

სახელმწიფოსა და რელიგიას. არქიმანდრიტი იმპერატორს სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრ, თავად ან. გოლიცინის დაუყოვნებლივ გადაყენებას სთხოვდა. არქიმანდრიტ ფოტის თხოვნას მხარს უჭერდა მიტროპოლიტი **სერაფიმი**. ან. გოლიცინის გადაყენეს, როგორც მინისტრობიდან, ისე ბიბლიური საზოგადოების თავმჯდომარეობიდან. ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შემდეგ კი იმპერატორმა **ნიკოლოზ I-მა** (1825-1855) ბიბლიური საზოგადოება აკრძალა. ალექსანდრე I-მა იმპერატორს სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრად აღმირალი **ალექსანდრე შიშკოვი** დანიშნა. ახალმა მინისტრმა მხოლოდ არამართლმადიდებელი ეკლესიის საქმეები ცაიბარა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობა კვლავ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს გადაეცა. უწმიდესი სინოდის შემადგენლობიდან გამოიყვანეს ან. გოლიცინის მომხრეები. ალექსი არაკჩევივისა და ალექსანდრე შიშკოვის მოთხოვნით, უწმიდესი სინოდიდან გამოიყვანეს ეპისკოპოსი **ფილარეტი (დროზდოვი)** და აკრძალეს მისი სახელმძღვანელოები. ფილარეტის ნაცვლად უწმიდესი სინოდის წევრი გახდა ეპისკოპოსი **ევგენი (ბოლხოვიტინოვი)**.

### თავი მეორე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდი ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში (1825-1855 წწ)

იმპერატორი **ნიკოლოზ I** (1825-1855) დიდი სიმპათიით იყო განმსჭვალული ეპისკოპოს **ფილარეტის (დროზდოვის)** მიმართ თავისი კორონაციის დღეს (1826 წლის 26 აგვისტო) იმპერატორმა ეპისკოპოსი ფილარეტი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1826 წლიდან 1842 წლამდე მიტროპოლიტი ფილარეტი უწმიდესი სინოდის მუდმივი წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობაში. უწმიდესი სინოდის მუდმივი წევრები აგრეთვე იყვნენ: მიტროპოლიტი **სერაფიმი (გლაგოლოვსკი)**, კიევის მიტროპოლიტი **ევგენი (ბოლხოვიტინოვი)**, და კიევის მომღვწეო მიტროპოლიტი **ფილარეტი (ამფითეატროვი)**.

1819 წელს დამტკიცებული შტატის თანახმად, რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდში იყო შვიდი წევრი (მუდმივი წევრები და ეპარქიებიდან მოწვეული დროებითი წევრები). ასე იარსება უწმიდესმა სინოდმა XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე. ამის შემდეგ უწმიდეს სინოდში გატარდა რეფორმა, რომელიც დაკავშირებულია ობერ-პროკურორ **ნ. ა. პროტასოვის** სახელთან. გრაფი **ნ. ა. პროტასოვი** უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი 1836-1855 წლებში იყო.

ობერ-პროკურორმა ნ. ა. პროტასოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უწმიდესი სინოდის კანცელარია ცუდად იყო ორგანიზებული. კანცელარია შედგებოდა სულ პრი განყოფილებისაგან, თითოეულ განყოფილებას ჰყავდა თითო მდივანი („ობერ-სეკრეტარ“) გარდა ამისა, უწმიდეს სინოდთან არსებობდა სასულიერო სასწავლებლების კომისია. ობერ-პროკურორ ნ. ა. პროტასოვის ინიციატივით უწმიდესი სინოდის კანცელარია გარდაიქმნა სამინისტროების კანცელარიის მსგავსად. კანცელარიაში შეიქმნა დეპარტამენტები ღირექტორებით სათავეში. გაიზარდა მდივნებისა და მთავარი მდივნების („ობერ-სეკრეტარ“ „სეკრეტარ“) რაოდენობა. რეფორმის შედეგად უწმიდეს სინოდში შეიქმნა ორი კანცელარია – **სინოდალური კანცელარია** და **ობერ-პროკურორის კანცელარია**. გარდა ამისა უწმიდეს სინოდს ჰქონდა **სამეურნეო სამმართველო** და **სასულიერო-სასწავლო სამმართველო**.

ნ. ა. პროტასოვის რეფორმა შეეხო სხვა საკითხებსაც. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ნ. ა. პროტასოვმა დააყენა საკითხი მიტროპოლიტ **ფილარეტის (დროზდოვის)** მიერ შედგენილი კატარზისის შესწორების თაობაზე (ეს საკითხი მანამდე ობერ-პროკურორმა ალექსანდრე შიშკოვმა დააყენა). ობერ-პროკურორ ნ. ა. პროტასოვის აზრით, მიტროპოლიტ ფილარეტის კატარზისში კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის გავლენა იგრძნობოდა. 1839 წელს მიტროპოლიტ ფილარეტის კატარზისი შეასწორეს და შეავსეს, მაგრამ არა ობერ-პროკურორის შეხედულებათა მიხედვით. XIX საუკუნის 40-იან წლებში ობერ-პროკურორმა ნ. ა. პროტასოვის ბიბლიის რუსული თარგმანის სისწორის საკითხი დააყენა. ობერ-პროკურორის აზრით, ბიბლიის რუსული თარგმანში იგრძნობოდა კათოლიციზმის დოგმების გავლენა. ნ. ა. პროტასოვის აზრით, ბიბლიის რუსული თარგმანის ნაცვლად, რუსეთის ეკლესიას ბიბლიის ძველ სლავურ ენაზე თარგმანი უნდა გამოეყენებინა. ობერ-პროკურორის შეხედულებათა გაზიარების შემთხვევაში რუსეთის ეკლესია განხეთქილებას თავიდან ვერ აიცილებდა. მოსკოვის მიტროპოლიტ **ფილარეტის (დროზდოვის)** სიბრძნისა და წინასწარმეტყველების წყალობით, ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებით, რუსეთის ეკლესიაში განხეთქილება თავიდან იქნა აცილებული. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ნ. ა. პროტასოვი კვლავ თავის აზრზე რჩებოდა. მან მიაღწია იმას, რომ ორივე მოწინააღმდეგე – მოსკოვის მიტროპოლიტი **ფილარეტი (დროზდოვი)** და **კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი (ამფეთეატროვი)** 1842 წელს უწმიდესი სინოდის შემადგენლობიდან გამოიყვანეს და ეპარქიებში გაგზავნეს. **კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი (ამფეთეატროვი)** ეპარქიაში გადასვლის შემდეგ სავსებით ჩამოშორდა უწმიდესი სინოდის მართვა-გამგეობას. იგი 1857 წელს გარდაიცვალა. რაც შეეხება მოსკოვის მიტროპოლიტ **ფილარეტს (დროზდოვს)**, იგი უწმიდესი სინოდის შემადგენლობიდან გამოყვანის შემდეგ, მოსკოვში მოღვაწეობდა და აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრებაში. იგი რუსეთის ეკლესიის იერარქებისათვის სიბრძნისა და სიმტკიცის ნიმუში იყო. XIX საუკუნის 40-იან 60-იან წლებში მიტროპოლიტმა **ფილარეტმა (დროზდოვმა)** ბევრჯერ იხსნა გაუაზრებელი და მანე რეფორმებისაგან. დეაწლმოსილი იერარქი 1867 წელს გარდაიცვალა.

ამ პერიოდში უწმიდეს სინოდში რამდენიმე იერარქიული ცვლილება განხორციელდა. 1867 წელს უწმიდეს სინოდთან შეიქმნა **საკონტროლო განყოფილება**, ხოლო სასულიერო-სასწავლო სამმართველო გარდაიქმნა **სასწავლო კომიტეტად**. 1872 წელს დამტკიცდა სინოდალური დაწესებულების ახალი შტატი. 1885 წელს **საეკლესიო-სამრევლო სკოლების** მართვის მიზნით, შეიქმნა **სასწავლო საბჭო**.



## თავი მესამე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები. რუსი სამღვდელთა მდგომარეობა

XIX საუკუნეში რუსეთის ეკლესიის ეპარქიების რაოდენობა გაიზარდა. **პეტრე I-ის (1696-1725)** მიერ უწმიდესი სინოდის დაარსების დროისათვის (1721 წ.) რუსეთში არსებობდა 18 ეპარქია და 2 საქორეპისკოპოსო. შწმდგომში ეპარქიების რიცხვი მუდმივად იზრდებოდა. იმპერატორ **ელისაბედ I-ის (1741-1761)** დროს დაარსდა მოსკოვისა და პეტერბურგის ეპარქიები, საპატრიარქო ოკრუგიდან გამოყოფილ იქნა რამდენიმე ახალი ეპარქია. 1764 წელს რუსეთში უკვე 29 ეპარქია არსებობდა, XIX საუკუნის დამდეგისათვის – 36 ეპარქია. ეპარქიების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა **ნიკოლოზ I-ის (1825-1855)** მეფობის წლებში. XX საუკუნის დამდეგს რუსეთში 66 ეპარქია და 41 საქორეპისკოპოსო არსებობდა. პატრიარქობის გაუქმების შემდეგ **პეტრე I-ის (1696-1725)** ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსები მიტროპოლიტის ხარისხში აღარ აყავდა. პირიქით, ზოგიერთ მიტროპოლიტს (სილვესტრ ნიჟეგოროდელს, ეგნატე კრუტიცველს) ხარისხი ჩამოართვეს. პეტრე I-ის დროს გაუქმდა ეპარქიების კატეგორიებად დაყოფა. ეპისკოპოსების მიტროპოლიტის ხარისხში აყვანა დაიწყო **ელისაბედ I-ის (1741-1761)** დროს. **ეკატერინე II-ის (1762-1796)** დროს ეპარქიები დაყვეს **სამ კატეგორიად**. პირველი და მეორე კატეგორიის ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსები არქიეპისკოპოსები ხარისხში იქნენ აყვანილნი. ცოტა მოგვიანებით, პირველი კატეგორიის ეპარქიებიდან სამი ეპარქიის მმართველი იერარქი **მიტროპოლიტის** ხარისხში აიყვანეს. 1867 წელს ეპარქიების კატეგორიებად დაყოფა გაუქმდა. ამიერიდან ეპარქიის მმართველი იერარქის **მიტროპოლიტის** ხარისხი მისი პირადი ღირსების დამადასტურებელი იყო და არა ეპარქიის კატეგორიის მაჩვენებელი. ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსებს გამოარჩევდა უწმიდესი სინოდი და დასამტკიცებლად წარუდგენდა იმპერატორს. იმპერატორ **ალექსანდრე III-ის (1881-1894)** დროს დაიწყო საეკლესიო იერარქთა **საოკრუგო კრებების** მოწვევა, რამაც სამღვდელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1884 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება **კიევში** და **პეტერბურგში**, 1885 წელს **ყაზანსა** და **ირკუტსკში**. საოკრუგო კრებებზე იხილებოდა ეპარქიებისათვის საჭირობო საკითხები.

**პეტრე I-ის (1696-1725)** დროიდან მოყოლებული ეპარქიების მმართველი **ორგანოები** დიდხანს უცვლელი დარჩა. 1744 წელს **არქიელთა პრიკაზის** ნაცვლად ეპარქიებში შეიქმნა **კონსისტორიები** (კონსისტორიები მანამდე მხოლოდ სამხრეთ რუსეთის ეპარქიებში არსებობდა). 1841 წელს დამტკიცდა **კონსისტორიების წესდება**, რომელიც შეავსეს ხელახლა

და დაამტკიცეს 1883 წელს. XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან ეპარქიებშიც დაიწყო **კოლეგიალური მმართველობის** შემოღება. მმართველობის ახალ ორგანოს **სასულირო მმართველობა** ეწოდებოდა. 1840 წლიდან სასულირო მმართველობების გაუქმება დაიწყო. ეპარქიების მმართველობის რეორგანიზაციას ხელს უშლიდა მმართველი ორგანოებისთვის აუცილებელი სახსრების უკმარისობა. ეპარქიის მმართველობის შტატით განსაზღვრული მოხელეთა ხელფასი ძალზე დაბალი იყო, რაც ხელს უწყობდა მექრთამეობის გაძლიერებას. მექრთამეობის დონემ აშკარად იკლო 1869 წლიდან, მას შემდეგ რაც კონსისტორიების მოხელეებს ხელფასი გაუზარდეს.

პეტრე I-ის დროს შედგენილი წესდების მიხედვით, ეპარქიის მმართველობის კომპეტენცია ვრცელდებოდა ეპარქიის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისს შეადგენდა: უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში არსებული მონასტრები, ბ) საიმპერატორო კარის სამღვდელოება, რომელიც უშუალოდ უწმიდეს სინოდსა და საიმპერატორო სასახლის მმართველობას, კონკრეტულად კი პროტოპრესვიტერს ექვემდებარებოდა. იმპერატორ **პავლე I-ის (1796-1801)** დროიდან განსაკუთრებულ უწყებად იქნა გამოყოფილი არმიასა და სამხედრო ფლოტში მომსახურე სამღვდელოება. თავდაპირველად ეპარქიის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში მომსახურე სამღვდელოება ეპარქიის მმართველობას ექვემდებარებოდა. ომის პერიოდში არმიასა და სამხედრო ფლოტში მომსახურე სამღვდელოება გადადიოდა პეტრე I-ის დროს მიღებული სამხედრო (1716 წ.) და საზღვაო (1720 წ.) წესდებით **გათვალისწინებულ** არმიისა და სამხედრო ფლოტის **იეროდიაკვნებისა („ობერ-ცერომონაზოვ“)** და **მთავარი მოძღვრების („ობერ-სვიაშჩენნიკოვ“)** დაქვემდებარებაში. 1816 წელს შეიქმნა **გვარდიული პოლკების სამღვდელოების მმართველობა**, რომლის სათავეშიც იდგა **მთავარი შტაბისა და გვარდიიდ „მთავარი მოძღვარი“ („ობერ-სვიაშჩენნიკ“)** 1840 წელს დაარსდა **კავკასიის ცალკეული კორპუსის „მთავარი მოძღვარის“ („ობერ-სვიაშჩენნიკ“)** თანამდებობა. არმიისა და სამხედრო ფლოტის სამღვდელოება უშუალოდ უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში იყო და არ ემორჩილებოდა ეპარქიის მმართველობას. სამხედრო უწყების სამღვდელოებას ჰყავდა თავისი **ბლაგოჩინი** და ჰქონდა თავისი **სასამართლო**. პავლე I-ის დროს დანიშნულმა პირველმა მთავატმოდვარმა („ობერ-სვიაშჩენნიკ“) **ოზერეცკოსკიმ**, იმპერატორის ნებართვით, პეტერბურგში არმიისა და სამხედრო ფლოტის სამღვდელოების შვილებისათვის სპეციალური **სემინარია**ც (არმიის სემინარია) კი დააარსა. ეს სემინარია 1819 წლამდე არსებობდა. 1890 წელს სამხედრო უწყებაში (არმიასა და სამხედრო ფლოტში) მომსახურე სამღვდელოება დაექვემდებარა **სასულიერო მმართველობას**, რომლის სათავეში იდგა **პროტოპრესვიტერი**.

XIX საუკუნეში ცვლილება განიცადა რუსეთის ეკლესიის იერარქიების მატერიალური უზრუნველყოფისადა მონასტრების შენახვის წესმა. პეტრე I-ის დროს განისაზღვრა სასულიერო დაწესებულებების შტატი და მოხელეთა ხელფასი, ასევე სამღვდელოების ხელფასი. შემდეგომ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო საეკლესიო მამულების (ვოტჩინების) სეკულარიზაციასთან და ეხებოდა მხოლოდ უმაღლესი საეკლესიო იერარქიის მატერიალურ უზრუნველყოფასა და მონასტრების შენახვის ხარჯებს. გამონაკლისს შეადგენდა ის მონასტრები, რომლებსაც თავიანთი მამულები (ვოტჩინები) გააჩნდათ და მატერიალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ. საეკლესიო მამულების (ვოტჩინების) სეკულარიზაციის შემდეგ სამონასტრო პრიკაზმა სასულიერო დაწესებულებების მოხელეებსა და სამღვდელოებს დაუნიშნა განსაზღვრული საშტატო ხელფასი. ხელფასის ოდენობა გამოთვლილი იყო დიდი

მომჭირნობით და, პრაქტიკულად, საარსებო მინიმუმს შეადგენდა. ეს მცირე ხელფასიც ომების პერიოდში სრულად არ გაიცემოდა, ხშირად კი მოხელეები საერთოდ ვერ ლებულობდნენ ხელფასს. მონასტრების შესანახად გამოყოფილი თანხებიდან თანხების ნაწილი უნდა გადაეღოთ იმ დაჭრილების სამკურნალოდ და გამოსაკვებად, რომლებსაც ხელისუფლება ომების დროს და ომების შემდეგ უგზავნიდა მონასტრებს. სამონასტრო პრიკაზი დაინტერესებული იყო სამონასტრო მამულებიდან (ვოტჩინებიდან) დაღვნილი გადასახადის აკრეფით, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა მამულების მოვლას. ამის გამო სამონასტრო მამულების შემოსავალი მუდმივად კლებულობდა, რაც მძიმე მდგომარეობაში აგვებდა მონასტრებს. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ უმაღლესი სასულიერო იერარქების (ეპისკოპოსების, არქიეპისკოპოსების, მიტროპოლიტების) სულ უფრო კლებულობდა, მონასტრებისა და ეკლესიების შესაკეთებელი თანხების მოძიება სულ უფრო ჭირდა. სამონასტრო მამულებიდან გლეხების გაქცევის გამო მამულები მუშახელის ნაკლებობას განიცდიდნენ. სამონასტრო მამულები მდგომარეობა არც სამონასტრო პრიკაზის სენატის დაქვემდებარებიდან უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ გაუმჯობესებულა. საეკლესიო იერარქებმა და მონასტრებმა ვერც ამჯერად შეძლეს სამონასტრო მამულების შემოსავლის გაზრდა. საეკლესიო იერარქები და მონასტრების წინამძღვრები საშტატო ხელფასით კმაყოფილდებოდნენ, სამონასტრო მამულების კი, პრაქტიკულად, მთლიანად სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა. სამონასტრო პრიკაზი უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში კიდევ უფრო ცუდად მუშაობდა, ვიდრე სენატის დაქვემდებარებაში. სამონასტრო მამულებიდან მიღებული შემოსავალი განუხრელად კლებულობდა, რაც მძიმე ტვირთად აწვა უწმიდეს სინოდს. ცხადი გახდა, რომ უწმიდესმა სინოდმა სამონასტრო პრიკაზის დაქვემდებარებით, მხოლოდ პასუხისმგებლობა იკისრა, მოგება კი ვერაფერი ნახა. ფინანსური სიმწიფეები სულ უფრო მეტად იჩინდა თავს. საქმე იმაში გახლდათ, რომ სამონასტრო მამულები (ვოტჩინები) იურიდიულად ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა. სინამდვილეში ეკლესია (უწმიდესი სინოდი) სამონასტრო მამულების მხოლოდ ფორმალური მმართველი იყო, მამულებს რეალურად სახელმწიფო ფლობდა. ასეთი ვითარება იყო 1760 წლამდე. ამ დროისათვის მომწიფდა აზრი, რომ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ სამონასტრო მამულების სრულ სეკულარიზაციაში იყო. სამონასტრო პრიკაზის სენატის (ე.ი. სახელმწიფოს) დაქვემდებარებიდან უწმიდესი სინოდის (ე.ი. ეკლესიის) დაქვემდებარებაში გადასვლის მომენტიანების მამულების დავალიანება ერთ მილიონს შეადგენდა. უწმიდესმა სინოდმა ვერ სეძლო იმის დამტკიცება, რომ მამულების დავალიანება იმპერიოლში დაგროვდა, როცა მამულებს სახელმწიფო (სენატი) განაგებდა. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დავალიანებაზე სახელმწიფომ (სენატმა) პასუხისმგებლობა მოიხსნა და იგი მთლიანად უწმიდეს სინოდს (ე.ი. ეკლესიას) დააკისრა. იმპერატორ **ანა ივანეს ასულის (1730-1740)** მმართველობის პერიოდში სამონასტრო მამულებიდან დავალიანების ამოღება საერო ხელისუფლებას დაავალეს. დავალიანების ამოღების პროცესში იყენებდნენ სამხედრო ძალას. 1738 წელს სამონასტრო პრიკაზის ნაცვლად ექმნილი **ეკონომიკური კოლეგია** უწმიდესი სინოდის შემადგენლობიდან გამოვიდა და სენატს დაექვემდებარა. დაიწყო სამონასტრო მამულებიდან მიღებული შემოსავლების სახელმწიფო საჭიროებისთვის უკონტროლო ხარჯვა. საქმე იქმდე მივიდა, რომ 1740 წელს უწმიდესი სინოდის წევრებს ხელფასი ვერ მისცეს. იმპერატორმა **ელისაბედ I-მა (1741-1761)** სამონასტრო მამულების მართვა-გამგეობა კვლავ ეკლესიას (უწმიდეს სინოდს) დაუბრუნა. სამაგიეროდ, იმპერატორმა **პეტრე III-მ (1761-1762)** გადაწყვიტა სამონასტრო მამულები (ვოტჩინები) სახელმწიფო საკუთრებად ექცია. სამღვდელოების

აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. პეტრე III-ის ეს უგუნური საქციელი გახდა ერთ-ერთი საფუძველი მისი ტახტიდან ჩამოგდებისა. იმპერატორ **ეკატერინე II-ს (1762-1796)**, პოლიტიკური მოსაზრებით, არ შეეძლო დაუყოვნებლივ აღესრულებინა მისი ქმრის პეტრე III-ის გადაწყვეტილება სამონასტრო მამულებთან დაკავშირებით. თავისთავად, ეკატერინე II მხარს უჭერდა სამონასტრო მამულების (ვოტჩინების) სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას. ცოტა მოგვიანებით, 1764 წელს, იმპერატორის ნების თანახმად, სამონასტრო მამულები (ვოტჩინები) სახელმწიფო საკუთრებად იქცა. საეკლესიო იერარქები და სამონასტრო მამულები დაიყო სამ კატეგორიად. თითოეულ კატეგორიას დაენიშნა შტატით განსაზღვრული შემოსავალი (ხელფასი). სახელმწიფომ დიდი მოგება ნახა. სასულიერო უწყების შენახვისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფდა 462 868 მანეთს, მაშინ როცა სამონასტრო მამულებში მცხოვრები 910 866 სული გლეხი (საეკლესიო გლეხები), მხოლოდ გადასახადის სახით, სელიწადში იხდიდა 1 366 288 მანეთს. სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა სამონასტრო მამულებიდან მიღებული სხვა შემოსავალიც. უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო უწყებების შენახვისათვის განკუთვნილი თანხა შემდეგომ წლებში გაიზარდა. **ეკატერინე II-ს** მეფობის ბოლო წლებში თანხამ 500 000 გადააჭარბა. თეთრი სამღვდელოების რეალური უზრუნველყოფა მთლიანად ეკლესიის ძრევლზე იყო დამოკიდებული. **პეტრე I-მდე** არსებული კანონით, ეკლესიის ძრევლს თავისი მღვდლისათვის მუდმივი ხელფასი უნდა დაენიშნა. სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს კანონი არ განხორციელებულა. **პეტრე I-ის** მეფობის წლებში ეკლესიებს აუკრძალეს სხვადასხვა წყაროებიდან შემოსავლის მიღება, შესაბამისად, მღვდლის შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. 1722 წელს სამწყსობის რაოდენობა შემცირდა (სამწყსოები გაერთიანდა) ამ ღონისძიების შედეგად მღვდლის შემოსავალი გაიზარდა. **ელისაბედ I-ის (1741-1761)** მეფობის პერიოდში თეთრი სამღვდელოების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. **ეკატერინე II-ის** მეფობის პერიოდში საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის შემდეგ შტატით განსაზღვრული ხელფასი დაენიშნა დიდი ტაძრების ღვთისმსახურებს და 105 ეკლესიას. სულ ამ მიზნისთვის ყოველწლიურად იხარჯებოდა 16 400 მანეთი. 1765 წელს ეკატერინე II-მ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც, ნათლობისთვის დაწესდა გადასახადი 3 კაპიკის ოდენობით, ჯვრისათვის 10 კაპიკი და ა.შ. გადასახადი დაწესდა მიცვალებულის დაკრძალვისათვის. იმპერატორმა **ალექსანდრე I-მა (1801-1825)** ზემოთ ხსენებული გადასახადი გააორმაგა. 1808 წელს გადაწყდა თითოეული სამწყსოსთვის მიეცათ ყოველწლიური მუდმივი შემოსავალი (300 მანეთიდან 1000 მანეთამდე), მაგრამ ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა, იმპერატორმა **პავლე I-მა (1796-1801)** თეთრი სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ეკლესიებს მიწები დაუბრუნა. ალექსანდრე I-მა მამის ბრძანება გააუქმა და ეკლესიების მიწები კვლავ სახელმწიფოს გადასცა. **ნიკოლოზ I-მა (1825-1855)** ეკლესიებს ისევ გადასცა მიწები. 1842 წელს იმპერიის დასავლეთ რეგიონებში არსებულ ეკლესიებს დაუნიშნეს შტატით დადგენილი მუდმივი ხელფასი. ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თანხა 1843 წელს კიდევ უფრო გაიზარდა. თეთრი სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხით დაინტერესდა იმპერატორმა **ალექსანდრე II (1855-1881)**. 1862 წელს შეიქმნა სამღვდელოების საქმეთა **განსაკუთრებული თათბირი**, რომელშიც შევიდნენ: უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი და წევრები, შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო ქონების მინისტრი და სხვ. განსაკუთრებული თათბირი უწყვეტად მოქმედებდა 1885 წლამდე. 1863 წელს შეიქმნა სამღვდელოების საქმეთა **საგუბერნიო თათბირი**, რომლის წევრებიც იყვნენ: საგუბერნიო ადმინისტრაციის, სამღვდელოებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. თათბირის თანმჯდომარე იყო ადგილობრივი საეკლესიო იერარქი. სამღვდელოების საქმეთა

განსაკუთრებული თათბირისა და სამღვდლოების საქმეთა საგუბერნიო თათბირის დანიშნულებას, სხვა საკითხებთან ერთად, შეადგენდა თეთრი სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. 1864 წლიდან რუსეთის დასავლეთ რეგიონებსა და ბალტიისპირეთში არსებულ ეპარქიების თეთრ სამღვდლოებას გაეზარდა შემოსავალი. 1864 წლიდან სამღვდლოების პენსიებით უზრუნველყოფა სახელმწიფო ხაზინას დაევალა. 1893 წლიდან, თეთრი სამღვდლოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სახელფასო დანამატის სახით, ყოველწლიურად გაიცემოდა 250 000 მანეთი. 1895 წლიდან ეს თანხა იზრდებოდა და მალე 500 000 მანეთს მიაღწია. XIX საუკუნის მიწურულისათვის უკვე 24 600 სამწყსოს სამღვდლოება იღებდა შტატით განსაზღვრულ მუდმივ ხელფასს.

## თავი მეოთხე. მართლმადიდებლობის გავრცელება რუსეთის არაქრისტიან ხალხებში

პეტრე I-ის (1696-1725) მეფობიდან დაწყებული რუსეთში დამკვიდრებას იწყებს **რჯულთშემწყნარებლობა**. 1702 წელს პეტრე I-ის იერ ხელმოწერილ ბრძანებაში აღნიშნული იყო: ხელისუფლება აღმსარებლობის საკითხში ძალდატანებას გმობდა, ყველას ჰქონდა უფლება თავისი შეხედულებისამებრ ეზრუნათავისი სულის გადასარჩენად. პეტრე I-ს სურდა გაეუქმებინა ყველა ის კანონი, რომელიც პირდაპირ თუ არაირდაპირ იმპერიაში მცხოვრებ არაქრისტიან ხალხებს აიძულებდა მიეღო ქრისტიანობა. მოგვიანებით, პეტრემ თავი შეიკავა ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან, ხოლო შემდეგ აღადგინა ზოგიერთი ძველი რუსული კანონი. კანონის ძალით, თუ გლეხების მფლობელი მემამულე ქრისტიანი არ იყო, გლეხების გაქრისტიანების შემთხვევაში, მემამულე ამ გლეხების ფლობის უფლებას კარგავდა. პეტრე I-მა დააკანონა შეღავათები ახლადგაქრისტიანებული მოსახლეობისათვის. 1720 წელს ახლადგაქრისტიანებული მოსახლეობა სამი წლით თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან და რეკრუტის წესით ჯარში გაწვევისაგან. **ელისაბედ I-ის (1741-1761)** დროს ახლადგაქრისტიანებულთა წახალისება კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლადგაქრისტიანებულები ხელისუფლებისგან საჩუქრებს იღებდნენ ფულისა და სხვა მატერიალური ფასეულობების სახით, დაწესებული იქნა შეღავათები გადასახადების გადახდის ვადებთან დაკავშირებით, შეღავათების ვრცელდებოდა რეკრუტის წესით ჯარში გაწვევის დროს. ხელისუფლება იმაზეც კი წავიდა, რომ ახლადგაქრისტიანებულებს მონთვლამდე ჩადენილ დანაშაულებსაც კი პატიობდა. **ეკატერინე II-მ (1762-1796)** რჯულთშემწყნარებლობა დააკანონა, რასაც თან სდევდა ზოგიერთი უკიდურესობა. 1773 წელს ეკატერინე II უწმიდეს სინოდს სწერდა: ღმერთი დედამიწაზე ყოველგვარი რწმენის (რელიგიის) არსებობას ითმენს, ასევე სურს მოიქცეს იმპერატორს, რათა მის ქვესევრდომთა შორის თანხმობა და სიყვარული სუფევდეს. ეკატერინე II-ს მეფობის პერიოდში რუსეთის იმპერიის არაქრისტიან ხალხებში მოღვაწე მართლმადიდებელი მისიების მუშაობა შესუსტდა. ახლადგაქრისტიანებული მოსახლეობისათვის არსებული შეღავათები, გარდა პეტრე I-ის მიერ დაწესებული სამწლიანი შეღავათისა, გაუქმდა. ყოველივე ამან გამოიწვია ახლადგაქრისტიანებულთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. უფრო მეტიც, ისლამისა და ბუდიზმის ღვთისმსახურებს სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნეს ხელფასი, რომლის რაოდენობა აღემატებოდა მართლმადიდებელი მღვდლის ხელფასს. ისლამის აღმსარებელმა მოსახლეობამ მეჩეთებისა და სკოლების (მედრესეების) მშენებლობის უფლება მიიღო. რამოდენიმე მეჩეთი სახელმწიფო ხაზინის სახსრებით აშენდა.

კერძოდ, ორენბურგის მხარეში, ისლამის აღმსარებელი მოსახლეობისათვის, მეჩეთი სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი თანხებით აშენდა. ხელისუფლების ინიციატივით, 1788 წელს **უფაში**, ხოლო 1794 წელს **ყირიმში**, ისლამის აღმსარებელი მოსახლეობისთვის შეიქმნა **მუსლიმთა სასულიერო მმართველობა**, რომლის სათავეში **მუფტი** იდგა. ორივე სასულიერო მმართველობას ჰყავდა შტატით განსაზღვრული **მოღებები**. მუსლიმთა სასულიერო მმართველობები სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა. ხელისუფლების ინიციატივით **ციმბირში** შეიქმნა **ბუდისტთა სასულიერო მმართველობა**. 1775 წელს ბუდისტთა სასულიერო მმართველობა გამოეყო შტატები, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა. 1782 წელს ეს შტატები ხელახლა დამტკიცდა. 1853 წელს მიღებული იქნა კანონები ბუდისტთა სასულიერო მმართველობის თაობაზე.

ყაზანის ეპარქიაში მართლმადიდებლური მისიის მოღვაწეობა გამოციცხლდა 1701 წლიდან. ყაზანის მიტროპოლიტმა **ტიხონმა**, იეროდიაკვან **ალექსი რაიფსკის** დახმარებით, 1701-1724 წლებში უამრავი ადამიანი, ძირითადად წარმართები მონათლა. ისლამის არმსარებელი მოსახლეობის გაქრისტიანება უფრი ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. მიტროპოლიტი **ტიხონი** დიდ ყურადღებას უთმობდა ახლადგაქრისტიანებულთა განათლების საქმეს ახლადგაქრისტიანებულთათვის **ყაზანში** გაიხსნა სკოლა, რომელშიც 32 მოწაფე ირიცხებოდა. მას შემდეგ რაც სკოლა უსახსრობის გამო დაიხურა მიტროპოლიტი ტიხონი ბავშვებს საკუთარ სახლში ასწავლიდა. 1731 წელს **სვიაჟსკში** ყაზანისა და ნიჟნი ნოვგოროდის ეპარქიებსათვის დაარსდა **ახლადგაქრისტიანებულთა საქმეთა კომისია**, რომელსაც სათავეში ედგა **სვიაჟსკის** მონასტერიეს წინამძღვარი, არქიმანდრიტი **ალექსი რაიფსკი**. არქიმანდრიტმა ალექსიმ მიტროპოლიტ ტიხონის გარდაცვალების შემდეგ, 1724-1733 წლებში 1300 ჩუვაში მონათლა. ყაზანის ეპარქიებში მისიონერული საქმიანობა განსაკუთრებით გამოციცხლდა 1738 წლიდან ეპარქიის მმართველ ეპსკოპოსად **ლუკას (კონაშევიჩის)** დანიშვნის შემდეგ.

პეტრე I-ის (1696-1725) მცდელობა დამკვიდრებულიყო კავკასიაში უშედეგოდ დასრულდა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რუსეთმა ხელი აიღო დაპყრობით გეგმებზე, დაიწყო კავკასიაში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში, რუსეთ-სპარსეთ-ოსმალეთის ხანგრძლივი დაპირისპირება. კავკასიის დაპყრობის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რეგიონის არაქრისტიანი მოსახლეობის გაქრისტიანებას. **ამჯერად საქმე ენებოდა არა რუსეთის იმპერიის საზღვრებში მცხოვრები ხალხების გაქრისტიანებას, არამედ საზღვრებს გარეთ, რუსეთის მომავალი აგრესიის რეგიონებში**. 1746 წელს რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა ოსეთში გაგზავნა **მისია**, რომელიც ქართველებისგან შედგებოდა. 1746-1771 წლებში ოსეთის მისიამ 2 000 ადამიანი მონათლა. 1771 წელს ოსეთში **მეორე მისია** გაიგზავნა. ამჯერად ოსეთის მეორე მისია რუსებისგან შედგებოდა, მას ხელმძღვანელი დეკანოზი ლებელევი იყო. 1771-1792 წლებში მისიონერებმა 6 000 ადამიანი მონათლეს. 1792 წელს მისია გაუქმდა, ხოლო სამისიონერო საქმიანობა დაევალა **ასტრახანის ეპარქიის მოზლოკის საქორებისკოპოსოს**. მოზლოკის საქორებისკოპოსოს განაგებდა ქართველი ეპისკოპოსი **გაიონი**. მოზლოკის საქორებისკოპოსო 1799 წლამდე არსებობდა. 1799 წლიდან ჩრდილო კავკასიაში ისლამის კარგად ორგანიზებული პროპაგანდა იწყება, რასაც ქრისტიანობის პოზიციების შესუსტება მოჰყვა. 1814 წელს უწმიდესმა სინოდმაა მესამედ შექმნა **ოსეთის მისია**, რომელსაც არქიეპისკოპოსი **დოსითეოზი** ხელმძღვანელობდა. ოსეთის მისიას ხაზინიდან 14 700 მანეთი გამოუყვეს. სამი წლის განმავლობაში მისიამ 6 000 ოსი მონათლა. 1816 წელს ოსეთის მისიას 24 000 მანეთი გამოუყვეს, რომელიც ძველი ეკლესიების აღდგენასა და ახლების აშენებას უნდა მოხმარებოდა. ჩრდილო კავკასიაში

სამისიონერო მოღვაწეობა შეფერხდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ შამილის ბრძოლის პერიოდში (1834-1859 წწ.). დაპყრობილ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობა დაეკისრა 1860 წელს შექმნილ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას.“

### თავი მეხუთე. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1770-1814 წწ.)

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების შეზღუდვას რუსეთის საიმპერატორო კარი გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) მომზადების პერიოდში შეუდგა. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ორი საპატრიარქო არსებობდა: მცხეთისა (აღმოსავლეთ საქართველოსი) და აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი). მცხეთის საპატრიარქო ტახტის იურისდიქციაში შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი და სხვ.), კათალიკოს-პატრიარქი იყო ანტონ I ბაგრატიონი (1744-1755; 1764-1788). აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საპატრიარქო ტახტის იურისდიქციაში შედიოდა იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები, კათალიკოს-პატრიარქი იყო მაქსიმე II აბაშიძე (1776-1795). მეფეებთან, ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან, ერთად რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კათალიკოს-პატრიარქები – ანტონ I და მაქსიმე II.

1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დასადები ხელშეკრულების პროექტს. პროექტში ჩამოყალიბებული იყო ის პირობები, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ხელშეკრულების პროექტი პეტერბურგში ჩაიტანა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობამ ბატონიშვილ ლევანისა და კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ხელმძღვანელობით. ერეკლე II იმპერატორ ეკატერინე II-ს თხოვდა ქართლ-კახეთში მეფობის „საუკუნოდ უცვალებლად“ შენარჩუნებას. ხელშეკრულების პროექტში საგანგებო ადგილი ეთმობოდა კათალიკოს-პატრიარქის უფლებების შენარჩუნების აუცილებლობას: „მსგავსადვე კათოლიკონიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.“ ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი პეტერბურგში ასე თარგმნეს: „Каталикос оставаться имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены“

ე.ი. რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე II-ის სათხოვარი სწორად გაიგო.

1772 წლის 6 იანვარს, ე.ი. ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო სახლმა დაამტკიცა რუსეთის საიმპერატორო კარისათვის გასაგზავნი პირობის ტექსტი. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის უზენაესობის აღიარებაზე არასოდეს აიღებდა ხელს. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილები: გიორგი, ლევანი, იულონი, ვახტანგი. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა (1772 წ. 5 იანვარი) ხელშეკრულების პროექტთან (1770 წ. 30 დეკემბერი) ერთად წარედგინა რუსეთის იმპერატორს.

ქართლ-კახეთის სამეფოსთან ხელშეკრულების დადება რუსეთის საიმპერატორო კარმა ღიძნანს გააჭიანურა. საბოლოოდ ეკატერინე II-მ გადაწყვიტა ხელშეკრულება ერთდროულად დაედო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან. იმპერატორის აზრი ხელშეკრულების თაობაზე ვიცე-კანცლერმა გრაფმა ა. ა. ბეზბოროდკომ აცნობა კავკასიის ხაზის უფროსს თავად გ.ა. პოტიომკინს. ეს დოკუმენტი 1782 წლის ბოლოს ან 1783 წლის დამდეგსაა შედგენილი. ეკატერინე II გრიგოლ პოტიომკინს უბრძანებდა: ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან დასადებ ხელშეკრულებაში მეფეები მოეხსენებინათ არა „ქვეშევრდობად“ არამედ

„მოკავშირეებად”. ეკლესიის საკითხს ეკატერინე II არ შეჰხებია. სამაგიეროდ თავისი აზრი, ცხადია, იმპერატორთან შეთანხმებით გამოთქვა ა. ა. ბეზბოროდკომ: „и чтобы более сей народ призывать к России, то бы весьма полезно иерархию их привязать к нашему Синоду, а знатнейшим фамилиям дать право Российскаго дворянства; архиепископа же католикоса – то ему соборнаго, поставить степенем в Росийской церкви между первыми.” ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ა. ა. ბეზბოროდკო უგულვებელყოფდა ერეკლე II-ის მიერ 1771 წლის 30 დეკემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას – კათოლიკოს-პატრიარქის უფლების უცვლელად შენარჩუნების თაობაზე. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) შესაბამის მუხლს (არტიკულს) სწორედ ა. ა. ბეზბოროდკოს მოსაზრება დაედო საფუძვლად.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ქ. გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის მერვე მუხლი (არტიკული) აშკარად ლახავდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებებს. მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ხდებოდა რუსეთის იმპერიის უწმიდესი სინოდი წევრი და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებდა მერვე ადგილს – ტობოლკის ეპისკოპოსის შემდეგ: „да шмეტсиса шееרתებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულები, ვითარმედ კათოლიკოსსა ანუ უმთავრესსა არხიებისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღვდელთ-მთავართასა მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა.” რუსულ დედანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „и народам его и для вящаго соединения с Росиею сих единоверных народов ея императорское величество соизволяет, чпоб католикос, или начальствующий архиепископ их, состоял местом в числе российских архиереев в осьмой степени, именно после Тобольского.”

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მომენტისათვის (1783 წ.) რუსეთში პატრიარქობა გაუქმებული იყო, აღარ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. რუსეთის ეკლესიას განაგებდა უწმიდესი სინოდი. უწმიდესი სინოდი წარმოადგენდა სახელმწიფო (საერო) ხელისუფლებას დაქვემდებარებულ სასულიერო უწყებას. სინოდის წევრები იყვნენ მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მაგრამ სინოდს სათავეში ედგა საერო პირი – **ობერ-პროკურორი**. უწმიდესი სინოდის ყველა დადგენილებას (გადაწყვეტილებას) სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინებით ამტკიცებდა იმპერატორი. უწმიდესი სინოდის წევრთაგან ვერც ერთი რანგითა და ღირსებით ვერ უტოლდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელს – კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. მიუხედავად ამისა, კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება შეილახა და იგი გაუთანაბრეს რუსეთის ეკლესიის ეპარქიების მმართველ იერარქებს (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს). უფრო მეტიც, სინოდში ანტონ I-ზე მეტი პატივით სარგებლობდა შვიდი იერარქი.

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის საეკლესიო მმართველობისა და უწმიდეს სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მომხდარიყო. ამ ხასიათის შეთანხმება შემდეგში აღარ დადებულა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ (1783 წ.) პეტერბურგში გაემგზავრა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა **გარსევან ჭავჭავაძის** ხელმძღვანელობით. ელჩობაში შედიოდა ერეკლე II-ის ვაჟი ბერი **ანტონი** (ერისკაცობაში თეიმურაზი), იეროდიაკონის ხარისხით. 1784 წელს ერეკლე II-ის თხოვნით, იეროდიაკონი ანტონი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ ხელდასმული იქნა **არქიეპისკოპოსად** და **ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად**. ცერემონიალი ჩატარდა ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში ეკატერინე II-ისა და სამეფო ოჯახის წევრების თანდასწრებით. ანტონის რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ არქიეპისკოპოსად (მთავარეპისკოპოსად) კურთხევა არ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო სამართალსა და ტრადიციას. თუმცა ამისათვის ერეკლე II-ის თხოვნა საკმარისი არ იყო. ამ შემთხვევაში უწმიდესი სინოდისათვის თხოვნით უნდა მიემართა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. რაც შეეხება ანტონის ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად



ხელდასხმას, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მხრიდან მეორე სახელმწიფოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) ავტოკეფალური ეკლესიის საქმეში უხეშ ჩარევად უნდა მივიჩნიოთ. ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების პრეროგატივას შეადგენდა. გარდა ამისა, ანტონის არქიეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა ისე, რომ იგი მანამდე ხელდასხმული არ ყოფილა მღვდლად. ანტონი არქიეპისკოპოსად ხელდასხმის დროს (1784 წ.) ოცდაორი წლისა იყო (დაიბადა 1762 წ.). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წ.) ძეგლისწერის მიხედვით ეპისკოპოსად ხელდასხმა უნდა მომხდარიყო ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. რით უნდა აიხსნას ერეკლე II-ის გადაწყვეტილება ანტონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად რუსეთში ხელდასხმის შესახებ? რუსეთის საიმპერატორო კარი, ერეკლე II-ზე გავლენის მოხდენის მიზნით, კარგად იყენებდა რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს (მუხრანბატონებს) – ვახტანგ VI-ის შთამომავლებს. ქართლის თავადები რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლის დასმას თხოვდნენ. ყოველივე ეს კარგად იცოდა ერეკლე II-მ. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ქართლის ბაგრატიონების (მუხრანბატონების) შტოს ეკუთვნოდა – ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი იყო. ანტონ I ძალზე პოპულარული იყო საქართველოში, მას კარგად იცნობდნენ რუსეთის პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებში. ერეკლე II-მ არ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები: რას მოიმოქმედებდნენ ქართლის ბაგრატიონები და მათი ერთგული თავადები, რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთი. ანტონ I ჭკვიანი, განათლებული და მებრძოლი ადამიანი იყო. თუ იგი პოლიტიკაში ჩაერეოდა, ერეკლე II-ს შეიძლებოდა დიდი სირთულეები შეჰქმნოდა. ამიტომ ერეკლე II-მ გადაწყვიტა ანტონ I-ის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქად ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი აღარ აერჩიათ. ერეკლე II ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების იმედად ვერ იქნებოდა და მზადება წინასწარ დაიწყო. ცარსკოე სელოში ერეკლე II-ს ვაჟის – რიგითი დიაკონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმამ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პოზიციები გარკვეულად შეასუსტა. ქართლის თავადებსა და რუსეთი მცხოვრებ ქართლის ბაგრატიონებსაც შესაბამისი დასკვნები უნდა გამოეთანათ. ერეკლე II დასახული მიზნისაკენ თანმიმდევრულად მიიწეოდა. 1784 წელსვე, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი ანტონი საქართველოში დაუსწრებლად იქნა ხელდასხმული **ალავერდელ მიტროპოლიტად**. 1788 წელს, ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, მიტროპოლიტი ანტონი კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს **ანტონ II-ის** სახელით. ეს ერეკლე II-ის გამარჯვების მაუწყებელი იყო.

ქართლ კახეთის უკანასკნელი მეფის **გიორგი XII-ის** (1798-1800) გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის აპრილში, პეტერბურგში ჩასულმა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებმა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინეს ნოტა, რომელიც ქართლ-კახეთის მმართველობას ეხებოდა. ნოტის მეექვსე პუნქტი სრულიად გარკვევით ითხოვდა კათოლიკოსობის შენარჩუნებას და ანტონ II-ს კათოლიკოს-პატრიარქად დატოვებას. ეს მუხლი ასე იწყება: „Как первенствующая ныне в грузии по духовенству особа есть сын царя Ираклия \_ Антоний, имеющий по древнему тамошнему положению титул католикоса, и посвящен в царствование блаженния памяти императрицы Екатерины II в сан архиепископа в Царском селе и туда (ქართლ-კახეთის სამეფოში – ვ.გ.) отправлен для управления тамошних (ქართლ-კახეთის – ვ.გ.) духовенств, то и оставить его при том достоинстве и звании.” ნოტის მეექვსე მუხლი კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის შენარჩუნებასთან ერთად ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი სამღვდლოების უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას: „равно как и всех прочих, в епархиях своих, пребывающих, митрополитов архиепископов и епископов, также архимандритов и игуменов с их причтом, протоиереев, иереев, дяконов и прочих церковнослужителей \_ каждого при своем звании и мест, о коих \_ кто имянно, и сколько их есть”

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების ნოტის მექესე პუნქტი მთელი კატეგორიულობით აყენებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნების საკითხს.

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტებში, რომელთა ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ერთი სიტყვითაც არაა ნათქვამი მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს (ქართლ-კახეთის ეკლესიის) რუსეთის ეკლესიასთან შეერთებასა ან მისდამი დაქვემდებარების თაობაზე. პირიქით, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აუწყებდა: „каждый пребудет при преимуществах состояния своего, при свободном отправлении своей веры и при собственности своей неприкосновенно.“

მანიფესტის ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძღოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თითოეულსა დაცვა სჯულისა.“ 1801 წლის 12 სექტემბერის მანიფესტი მოითხოვდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას, რაც რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას ნიშნავდა. მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ დაფიცების პროცესში „Духовенство, яко пастыри душевные, первые должны дать пример“ ქართულ თარგმანში: „სამღვდელოთა, ვითარცა მწყემსთა სულისა თანა, პირველად შვენივით მიცემა მაგალითისა.“

1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა მანიფესტთან ერთად ხელი მოაწერა კიდევ ორ დოკუმენტს – „რესკრიპტს“ და „მოწოდებას ქართველი ხალხისადმი“ 12 სექტემბერსვე იმპერატორმა დაამტკიცა „საქართველოს შინაგანი მმართველობის დადგენილება.“ ამ დოკუმენტებში გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფოს ეკლესიის მმართველობის ან მისი რეორგანიზაციის შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკლესია (მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქო) ინარჩუნებდა თავის უფლებრივ მდგომარეობას – ადგილს მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის. თავისი უფლებებით აღჭურვილი რჩებოდა კათოლიკოს-პატრიარქი და საეკლესიო კრება, ძველებურად განაგრძობდა ფუნქციონირებას ყველა ეპარქია, ეკლესია და მონასტერი. ეკლესიის საკუთრებაში რჩებოდა მთელი უძრავი და მოძრავი ქონება. კათოლიკოს-პატრიარქსა და საეკლესიო კრებას კვლავინდებურად უნდა ეხელმძღვანელა მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მიღებული სამართლებრივი ნორმებით (კანონებით) – საეკლესიო სამართლით და ქართული სამართლით (ვახტანგ VI-ის სამართლით).

მართალია, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა თავი შეიკავა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად არ გააუქმა სამეფოს ტერიტორიაზე არსებული მცხეთის საპატრიარქო. ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი არ დაუშვებდნენ ისტორიითა და ტრადიციით რუსეთის ეკლესიაზე ბევრად აღმატებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო ტახტის სუვერენიტეტის შენარჩუნებას ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე.

1810 წლისათვის რუსეთის იმპერიამ დაასრულა დასავლეთ საქართველოს – სამეგრელოს სამთავროს, აფხაზეთის სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამეფოს – დაპყრობა. კავკასიის მთავარმართველს გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს დაევალა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე საპატრიარქოს (მცხეთისა და აფხაზეთის) გაუქმება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის საქარველოდან რუსეთში გაწვევა (აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე II-ს 1795 წელს გარდაიცვალა). 1810 წლის 3 ნოემბერს რუსეთის საიმპერატორო კარის მოთხოვნით ანტონ II რუსეთში გაემგზავრა. ანტონ II-მ წინააღმდეგობა ვერ გასწია, თუმცა კარგად იცოდა რისთვის იწვევდნენ რუსეთში (კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში ვეღარ დაბრუნდა, 1827 წელს რუსეთში გარდაიცვალა). ალექსანდრე ტორმასოვმა ქართლ-კახეთის ეკლესიის მმართველობის პროექტის შედგენა მიტროპოლიტ ვარლამს (ერისთავს) დაავალა.

ეს პროექტი დაედო საფუძვლად ა. ტორმასოვის მოხსენებას უწმიდესი სინოდისადმი. 1811 წლის 12 თებერვალს გენერალი ა. ტორმასოვი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ოპერ-პროკურორ თავად ალექსანდრე გოლიცინს წერდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II სამართლიანი და იშვიათი თვისებების მქონე ადამიანია. ა. ტორმასოვის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა იმპერატორის შესაბამისი ბრძანება, საქართველოს ეკლესიის მმართველად უნდა დაენიშნათ ეგზარქოსი, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დატოვებული ყოფილიყო რუსეთში და მას საქართველოს ეკლესიის შემოსავლიდან დანიშნოდა პენსია 6 ათასი მანეთის ოდენობით. ა. ტორმასოვის მოხსენების შემდეგ პეტერბურგში ბევრი აღარ უფიქრიათ. ამ მოხსენების საფუძველზე სინოდის ოპერ-პროკურორმა ა. გოლიცინმა 1811 წლის 21 ივნისს შეადგინა „მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება.“ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში (ქართლ-კახეთში) რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქობა უქმდებოდა და კათოლიკოს-პატრიარქის ადგილს იკავებდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 30 ივნისს „მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება“ უცვლელად დაამტკიცა. ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამღვდელთა უნდა დამორჩილებოდა „მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს“, რომელიც იქნებოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და ამავე დროს ექნებოდა „საქართველოს ეგზარქოსის“ ტიტული. საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი ვარლამი.

ასე გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო, ხოლო გაუქმებული საპატრიარქოს მიერ ტერიტორიაზე (ეპარქიებზე, ეკლესიებზე, მონასტრებზე) გავრცელდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის იურისდიქცია. უწმიდესი სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი საქართველოში უმაღლეს იერარქად ითვლებოდა.

მმართველი სინოდის 1811 წლის 21 ივნისს „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში“ მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმების ერთადერთ მიზეზად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის დამყარება იყო დასახელებული. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ეფესოს წმიდა III მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) მერვე კანონს. ამ კანონის მიღების საფუძველი გახდა ანტიოქიის ეკლესიის მცდელობა თავისი იურისდიქციისათვის დაემორჩილებინა კვიპროსის ეკლესია და, შესაბამისად, კვიპროსის ეკლესიისათვის ჩამოერთმია ავტოკეფალური უფლებები, რომლითაც იგი ძველთაგანვე სარგებლობდა. რადგან კვიპროსის ეკლესია ძველთაგანვე ავტოკეფალურად იყო აღიარებული, III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაიცვა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია.

ივერიის (მცხეთის) უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო შემდეგი:

**პირველი.** კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა მოეწვია საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა მიეღო დადგენილება ავტოკეფალური უფლების დათმობისა და ავტოკეფალიის გაუქმების თაობაზე. ასეთი საეკლესიო კრება მოწვეული არ ყოფილა.

**მეორე.** ლიკვიდირებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლის თაობაზე თანხმობა უნდა მიეცა რუსეთის საეკლესიო კრებას. იმხანად რუსეთში საეკლესიო კრებას აღარ იწვევდნენ, ხოლო უწმიდესი სინოდი საეკლესიო კრებას ვერ შეცვლიდა.

**მესამე.** მსოფლიოს უძველესი ივერიის (მცხეთის) ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო მსოფლიო მართლმადიდებელი საპატრიარქოების (იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) და, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის თანხმობა. ასეთი თანხმობა რუსეთს არ უთხოვია და, ცხადია, არც მიუღია.

ამრიგად 1801 წლის 12 სექტემბრის უკანონო აქტს, რომლის ძალითაც გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, მოჰყვა მეორე – 1811 წლის 30 ივნისის უკანონო აქტი, რომლის ძალითაც გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური საპატრიარქო – ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო.

1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც საქართველოში საეკლესიო მმართველობის სისტემამ ცვლილება განიცადა. თბილისში დაარსდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის **საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორა**. უმაღლესი საეკლესიო იერარქი **საქართველოს ეგზარქოსი** იყო, რომლის ძალაუფლებაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის შექმნასთან დაკავშირებით ქუთათელ მიტროპოლიტ **დოსითეოსს (წერეთელს)** აეკრძალა აფხაზთა საკათალიკოსოს საქმეთა განგება (მიტროპოლიტ დოსითეოსს კათოლიკოსობა უბოძა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ, მაგრამ კურთხევა არ მომხდარა. სწორედ ამიტომ მიტროპოლიტი დოსითეოსი საბუთებში ასე იხსენიება: „ყოვლად სამღვდლო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოზოსი.“) 1814 წლის ბოლოდან მიტროპოლიტი დოსითეოსი მხოლოდ ეპარქიის მღვდელმთავარია და აფხაზეთის საკათალიკოსოს საქმეებს აღარ განაგებს. აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქისა და აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია შეწყდა და ყოფილი საკათალიკოსოს ტერიტორია საქართველო-იმერეთის სინოდარულ კანტორასა და საქართველოს ეგზარქოსს დაექვემდებარა.

**1811-1814 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომლის მიზანსაც საქართველოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა შეადგენდა.**

### **თავი მეექვსე. რუსეთის ეკლესიის ურთიერთობა კათოლიკეებთან და უნიატებთან**

კათოლიკური ჯერ-პოსპოლიტას და მართლმადიდებელი რუსეთის ურთიერთობა ყობელთვის დაძაბული იყო. ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორი გადაჯაჭვული იყო. 1686 წლის ხელშეკრულებით რუსეთმა ჯერ-პოსპოლიტას მართლმადიდებელი მოსახლეობის (პრაქტიკულად, დასავლეთ რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მოსახლეობის) მფარველობის უფლება მიიღო. ამან რუსეთს ჯერ-პოსპოლიტას საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება მისცა. მართალია, ჟერ-პოსპოლიტას მეფეები და სეიმი რუსეთს ადვილად არაფერს უთმობდნენ, მაგრამ რუსეთის მეფეები მაინც აქტიურად ცდილობდნენ მოპოვებული უპირატესობის გამოყენებას. ჟერ-პოსპოლიტას ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებლების შევიწროვების შემთხვევაში **პეტრე I (1696-1725)** ჟერ-პოსპოლიტას სასულიერო ხელისუფლებას რუსეთში მცხოვრები კათოლიკეების დევნით, ხოლო ჟერ-პოსპოლიტას მეფე **ავგუსტს** – ურთიერთობის გაწყვეტით ემუქრებოდა. პეტრე I-მა მუქარა ვერ შეასრულა. პეტრე I-ის მემკვიდრეების მეფობის დროს რუსეთში მცხოვრები კათოლიკეების უფლებები არ შელახულა. პირიქით, რუსეთმა გარკვეულწილად უარი თქვა მოპოვებული უპირატესობაზე. 1686 წლის ხელშეკრულებით ჟერ-პოსპოლიტას ტერიტორიაზე ოთხი მართლმადიდებლური ეპარქია უნდა არსებულიყო. ჟერ-პოსპოლიტას მეფემ პირობა დაარღვია და ოთხი ეპარქიის მაგივრად მხოლოდ ორი – **ლუცისა** და

**მოგილევისა** – დატოვა. ცოტა მოგვიანებით ლუცკის ეპარქიაც გაუქმდა. საბოლოოდ, ოთხი მართლმადიდებლური ეპარქიიდან სამი უნიატების ხელში აღმოჩნდა. ერთადერთი მართლმადიდებლური მოგილევის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსებს დიდი ბრძოლა უხდებოდათ ეპარქიის შენარჩუნებისათვის. რამდენიმეჯერ თავს დაესხნენ ეპისკოპოს **სილვესტრ ჩეტვერტინსკის (1707-1728)**, ხოლო ეპისკოპოსმა **გიორგი კონიისკიმ (1755-1795) ქ. ორშაში** ძლივს დააღწია თავი კათოლიკეთა აღტინებულ ბრბოს.

რომის კათოლიკური ეკლესია ჟერ-პოსპოლიტას შემადგენლობაში შემაჯალ უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე გამუდმებით აგზავნიდა **იეზუიტთა ორდენის** მისიონერებს. იეზუიტები ავიწროვებდნენ მართლმადიდებლებს, მართლმადიდებლურ ეკლესიებს უნიატები ეპატრონებოდნენ. 1720 წელს **ზამოისკის საეკლესიო კრებამ** მიიღო დადგენილება უნიატურ ეკლესიაში ღვთისმსახურების საკითხავი წიგნების შესწორების თაობაზე. ძველ წიგნებში შესწორებები კათოლიკური დოგმებიდან გამომდინარე უნდა შეტანილიყო. **მრწამსში** სიტყვის „**ამისაგან**“ შემდეგ უნდა დამატებულიყო სიტყვა „**და მისაგან**“. ამ დროიდან უნიატური ეკლესიები გარეგნულად კათოლიკურს დაემსგავსა: აღსარების პროცესშიმღვდელი და აღმსარებელი იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან და მრევლისაგან, ეკლესიაში დაიდგა სკამები, ორღანი. უნიატმა მღვდლებმა გაიპარეს წვერი და კათოლიკე მღვდლების მსგავსად შეიმოსნენ.

**ეკატერინე II-ის (1762-1796)** დროს ჟერ პოსპოლიტას მართლმადიდებელმა მოსახლეობამ უკვე მესამედ ითხოვა მფარველობა. ეკატერინე II-ის კორონაციაზე მოსკოვში ჩავიდა მოგილევის ეპისკოპოსი **გიორგი (კონიისკი)**. ეპისკოპოსმა იმპერატორს დაუხატა ჟერ-პოსპოლიტას მართლმადიდებლური მოსახლეობის მძიმე ვითარება და შემწეობა სთხოვა. 1764 წელს ჟერ-პოსპოლიტას ტახტზე **სტანისლავ პონიატოვსკის** ასვლასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი მოსახლეობის საკითხი განიხილა სეიმმა. ამან ბიძგი მისცა ჟერ-პოსპოლიტას უნიატი მოსახლეობის წინააღმდეგ რელიგიური მოძრაობის დაწყებას. მოძრაობის ცენტრი გახდა **პერეიასლავის საეპისკოპოსო კათედრა**, რომელსაც იმხანად ემორჩილებოდნენ ჟერ-პოსპოლიტას შემადგენლობაში შემაჯალი უკრაინის მართლმადიდებლური სამწყსოები. საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა მართლმადიდებლობისთვის თავდადებული ეპისკოპოსი **გერვასი (ლინცევსკი)**. მოძრაობის ცენტრს აგრეთვე წარმოადგენდა ჩიგირონის ოლქში მდებარე **წმიდა მატრონას** მონასტერყ, რომლის წინამძღვარის **მელქისედეკი (ზნაჩკო-იანოვსკი)** იყო. მოსახლეობამ დაიწყო ძველი მართლმადიდებლური ეკლესიების აღდგენა და ახლების მშენებლობა. პერეიასლავის ეპისკოპოსმა ახალი ეკლესიებისთვის მღვდლები აკურთხა. უნიატური ეკლესიების მრევლი მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა. 1765 წელს ეპისკოპოსი **გიორგი** და ილუმენი **მელქისედეკი** ვარშავაში ჩავიდნენ. ეპისკოპოსმა **გიორგიმ** სეიმში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ჟერ-პოსპოლიტას მართლმადიდებელი ოსახლეობის მძიმე მდგომარეობა წარმოაჩინა. ეს სიტყვა ევროპის რამდენიმე ენაზე ითარგმნა. ჟერ-პოსპოლიტას მეფე **სტანისლავ პონიატოვსკიმ** პირობა დადო დაეცვა მართლმადიდებელი მოსახლეობა. ილუმენი მელქისედეკი უკრაინაში ჟერ პოსპოლიტას მეფე სიგელითა და წერილით დაბრუნდა რომელიც უნიატურ ეკლესიას მართლმადიდებელი მოსახლეობის დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა. 1766 წელს ჟერ-პოსპოლიტას სეიმმა განიხილა საკითხი ღვთისმსახურების და აღსარების სხვა ქვეყნების ხელისუფლებისაგან პოლონელი დისიდენტების დაცვის საკითხი. ამან ბიძგი მისცა პოლონეთში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას. ანტირუსული მოძრაობა ნაწილობრივ მართლმადიდებელი მოსახლეობის დევნაში გამოიხატა. ჟერ-პოსპოლიტას მართლმადიდებელი სამღვდლოები და მართლმადიდებელი მრევლი მძიმე მდგომარეობაში

აღმოჩნდა. იყო შემთხვევები, როცა მართლმადიდებელთა დევნა მკვლევლობით დასრულდა. ილუმენი **მელქისედეკი** უნიატთა საოყრობილეში აღმოჩნდა და წამებით სიკვდილს ძლივს გადაურჩა. კათოლიკეთა და უნიატთა თვითნებობამ უადრესად დაძაბა ვითარება. მართლმადიდებლები სამაგიეროს გადასახდელად ემზადებოდნენ. ეპისკოპოს **გერვასისა** და ილუმენ მელქისედეკის ქადაგებებმა ვითარება ვერ განმუხტა. **ჟერ-პოსპოლიტას** მართლმადიდებელმა მოსახლეობამ (რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა) აჯანყება დაიწყო. ეს აჯანყება ისტორიაში **კოლიეშჩინის** სახელწოდებით შევიდა. აჯანყებულები სცემდნენ უნიატური და კათილიკური ეკლესიის მსახურებს, არბევდნენ პოლონელი პანების მამულებს. დაიღვარა სისხლი. **ჟერ-პოსპოლიტაში** დაწყებული აჯანყებით ისარგებლა რუსეთმა. 1768 წლის ტრაქტატი ავალედა რუსეთში **ჟერ-პოსპოლიტაში** მშვიდობის დაცვას. **ეკატერინე II-მ** არ დააყოვნა და **ჟერ-პოსპოლიტას** ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა. **ჟერ-პოსპოლიტას** ტერიტორიაზე დაწყებული მართლმადიდებელი მოსახლეობის აჯანყების სათავეში აღმოჩნდნენ დემოკრატიზმის იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა ლიბერალები. მართალია, ისინი მართლმადიდებლები იყვნენ, მაგრამ მათთვის მართლმადიდებლობის დაცვა არ იყო უმთავარესი. აჯანყების მოთავეთა ასეთი განწყობით ისარგებლეს პოლონელებმა და **ჟერ-პოსპოლიტაში** სამოქალაქო მშვიდობის დაცვის აუცილებლობაში დაარწმუნეს. საბოლოოდ, ასეთი ვითარება შეიქმნა: აჯანყება რელიგიური ფანატიზმის გამოვლინებად შეფასდა, ხოლო მისი დაწყება მართლმადიდებელ სამღვდელოებას დაბრალდა. აჯანყების მოთავეებად ეპისკოპოსი **გერვასი** და ილუმენი **მელქისედეკი** იქნენ მიჩნეულნი. ისინი გადააყენეს და რუსეთში გაგზავნეს. აჯანყებულების წინააღმდეგ ერთად მოქმედებდნენ პოლონელი პანები და რუსეთის არმია. გამარჯვებას ზეიმობდნენ უნიატები, მათ ყველა ეკლესია დაიბრუნესაჯანყებულ მართლმადიდებელთა დევნა 1772 წლამდე, **ჟერ-პოსპოლიტას** პირველ დანაწილებამდე გაგრძელდა. 1772 წელს აჯანყებულთა დევნა ძირითადად დასრულდა. ყოველ შემთხვევაში **ჟერ-პოსპოლიტას** პირველი დანაწილების (1772 წ.) შემდეგ რუსეთის შემადგენლობაში გადასულ **ბელორუსიის** ტერიტორიაზე მშვიდობამ დაისადგურა.

რუსეთის შემადგენლობაში გადასულ **ბელორუსიის** ტერიტორიაზე არქიეპისკოპოს **გიორგის (კონიისკის)** წყალობით მართლმადიდებლობა სწრაფად გაძლიერდა. უნიატური ეკლესიის მრევლისდიდმა ნაწილმა თხოვნით მიმართა რუსეთის ეკლესიას. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ მათ თავის დროზე ძალით აღიარებინეს უნია და ამჯერად მათ სურდათ მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნება. პეტერბურგში უნიატური ეკლესიის მრევლის თხოვნის დაკმაყოფილებას არ ჩქარობდნენ. რვა წლის შემდეგ გადაწყდა მართლმადიდებლური წესით მოენათლათ უნიატური ეკლესიის იმ სამწყსოთა მრევლი, სადაც მრევლის ყველა წევრი გამოთქვამდა ასეთ სურვილს. **ეკატერინე II-ის** ასეთი სანახევროდ ანტიმართლმადიდებლური განპირობებული იყო ორი მიზეზით: **პირველი**. **ეკატერინე II** ანგარიშს უწევდა ახლად შეერთებული **ბელორუსიის** ტერიტორიაზე მცხოვრებ კათილიკური ეკლესიის მრევლს. **მეორე**. **ეკატერინე II** ანგარიშს უწევდა ევროპის საზოგადოებას, ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი მეტად მტკიცედ იცავდა რჯულთშემწყნარებლობის პრინციპს/ მიუხედავად ხელისუფლების ასეთი პოზიციისა, 130 000 უნიატი მაინც მოინათლა. **ზემოხსებული მიზეზების გამო ახლად შეერთებული ბელორუსიის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესია გაცილებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდა ვიდრე მართლმადიდებელი ეკლესია**. 1773 წელს **ეკატერინე II-მ** ბელორუსიის კათილიკე მრევლი ჩააბარა არქიეპისკოპოს **სტანისლავ სესტრენცევიჩს**. არქიეპისკოპოსს ებოძა დიდი სიმდიდრე. ბელორუსიის კათოლიკე არქიეპისკოპოსის წლიური შემოსავალი 60 000 მანეთს აღწევდა, მაშინ, როცა ბელორუსიის მართლმადიდებელი არქიეპისკოპოსის წლიური შემოსავალი

მხოლოდ 6 000 მანეთს შეადგენდა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში ბელორუსიაში სამი კათოლიკური ეპარქია შეიქმნა. კათოლიკურ ეპარქიებში ეკლესიები და მონასტრები დიდ მამულებს ფლობდნენ, მაშინ, როცა მართლმადიდებელ ეკლესიებსა და მონასტრებს მამულები ჩამოართვეს. ბელორუსიის ტერიტორიაზე უნიატურ ეკლესიასაც თავისი არქიეპისკოპოსი ჰყავდა, რომლის კათედრაც ქ. პოლოცკში იყო. **ეკატერინე II-მ ბელორუსიაში ხელუხლებლად დატოვა იეზუიტთა ორდენი, მაშინ როცა 1773 წელს რომის პაპმა ევროპის სახელმწიფოთა მოთხოვნით იეზუიტთა ორდენი ოფიციალურად გააუქმა.** პოლოცკში მოკალათებულმა იეზუიტებმა დააარსეს **იეზუიტთა ნოვიციატი**, რომელიც შემდგომში **იეზუიტთა კოლეგიად** გადაკეთდა. იეზუიტები ძველებურად აგრძელებდნენ კათოლიკობის პროპაგანდას.

ჟერ-პოსპოლიტას შემადგენლობაში დარჩენილი უკრაინის ტერიტორიაზე მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურთიერთობა დროდადრო სერიოზულად იძაბებოდა. უკრაინის კათოლიკე სამღვდელოება და პოლონელი პანები შიშით შესცქეროდნენ მართლმადიდებელი მრევლის საპროტესტო მოძრაობას. 1785 წელს უკრაინის მართლმადიდებელ მრევლს ახალი მეუფე დაუნიშნეს. ეს იყო პერეიასლავის ეპისკოპოსი **ვიქტორ სადაკოვსკი**. შეუდგა თუ არა ეპისკოპოსი ვიქტორი მწყემსთავრული მოვალეობის შესრულებას, მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ ახალი ეპისკოპოსი მართლმადიდებელი მღვდლებისა და ბერების მეშვეობით კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ უკრაინის მოსახლეობის აჯანყებას ამზადებდა. ამასაც კი ამბობდნენ, რომ ეპისკოპოსის რეზიდენციაში (ქ. პერეიასლავში), ასევე მონასტრებში იარაღის საწყობები გამართესო. 1798 წელს ეპისკოპოსი ვიქტორი დააპატიმრეს და ვარშავაში გაგზავნეს. ეპისკოპოსის რეზიდენციასა და მონასტრებში, ცხადია, იარაღის საწყობები ვერ აღმოაჩინეს. ასეთი ვითარება იყო ჟერ-პოსპოლიტას შემადგენლობაში შემავალი უკრაინის ტერიტორიაზე 1793-1795 წლებამდე. **ჟერ-პოსპოლიტას მეორე (1793 წ.) და მესამე (1795 წ.) დანაწილების** შემდეგ უკრაინის ტერიტორია, გარდა გალიციისა, რუსეთს ერგო. **ჰალიცია** ავსტრიის იმპერიის საზღვრებში აღმოჩნდა. ჟერ-პოსპოლიტას მეორე და მესამე დანაწილების შემდეგ უნიატების მართლმადიდებლური წესით მონათვლის მსურველთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა. 1794 წლის კანონით უნიატების მონათვლას უკვე აღარაფერი აფერხებდა. 1796 წლისათვის უკვე მონათლული იყო 2 000 000 უნიატი. თვით უნიატურ ეკლესიებში დაიწყო მოძრაობა განახლებისათვის. უნიატური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა **ირაკლი ლისოვსკიმ (1784-1809)** დაიწყო უნიატური ეკლესიის გაწმენდა უნიის დაღების შემდეგ დამკვიდრებული კათოლიციზმის დოგმებისაგან. არქიეპისკოპოს ირაკლის სურდა მჭიდრო კავშირის დამყარება მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მან იმოგზაურა იერუსალიმში, იმოსებოდა მართლმადიდებლური იერარქიის მსგავსად, ატარებდა წვერს.

ეკატერინე II-მ მეფობის ბოლო წლებში გადაწყვიტა უნიატური ეკლესიებისა და მონასტრების რიცხვის შემცირება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრო. ახალი იმპერატორი **პავლე I (1796-1801)** კათოლიკეებსა და უნიატებს მფარველობდა. პავლე I შეშინებული იყო ევროპაში დაწყებული რევოლუციური მოძრაობით. იმპერატორის განწყობით ისარგებლეს კათოლიკეებმა და იმპერატორი დაარწმუნეს იმაში, რომ ევროპაში რევოლუციები კათოლიკური ეკლესიის გავლენის შესუსტების შედეგად წარმოიშვა. პავლე I-ს გარს ეხვივნენ **მალტის ორდენის** რაინდები და **იეზუიტები**. ისინი იმპერატორს კათოლიკური რელიგიის განმტკიცების აუცილებლობაში არწმუნებდნენ. პავლე I-ის კარზე დიდი გავლენა მოიპოვა იეზუიტმა მღვდელმა **გრუბერმა**. იმპერატორმა დაიანლოვა საფრანგეთიდან და ჟერ-პოსპოლიტადან დევნილი არისტოკრატიის წარმომადგენლები. იეზუიტებმა ფეხი მოიკიდეს პეტერბურგში, მათ ხელში გადავიდა კათოლიკური ეკლესიის

მთელი შემოსავალი. მათ იმპერატორისგან მიიღეს **იეზუიტთა ორდენის** აღდგენის ოფიციალური უფლება და აირჩიეს **ორდენის გენერალი**. პავლე I-ის ნებართვით იეზუიტებმა აღმოსავლეთში მისიონერები გაგზავნეს. ასეთ ვითარებაში **უნიატთა მართლმადიდებლური წესით მონათვლა შეფერხდა და შემდეგ საერთოდ შეჩერდა**. პავლე I-მა უფლება მისცა უნიატებს აღედგინათ წინათ გაუქმებული **ლუცკისა და ბრესტის** ეპარქიები. ამასთან ერთად, იმპერატორიარ სცნობდა უნიატური ეკლესიის დამოუკიდებლობას. რუსეთის ტერიტორიაზე არსებული უნიატური ეკლესიის ეპარქიები, ეკლესიები და მონასტრები პავლე I-მა **კათი ლიკური კოლეგიის** შემადგენლობაში შექმნილ **სამმართველოს** დაუმორჩილა, რომელშიც არც ერთი უნიატი არ შედიოდა.

**ალექსანდრე I-მა (1801-1825)** მეფობის დასაწყისში სრული სჯულთშემწყნარებლობა დაამკვიდრა. ამით კარგად ისარგებლეს იეზუიტებმა და რუსეთის არისტოკრატის ბევრი წარმომადგენელი გააკათოლიკეს. იეზუიტთა მიერ შექმნილი კათოლიკური სკოლებითა და მისიებით დაიფარა მთელი რუსეთის იმპერია. პირველ რიგში, კათოლიკეებმა მძლავრად მოიკიდეს ფეხი რუსეთის დასავლეთ რეგიონებში (ბელორუსიაში), სამხრეთში (კიევიდან სიმფეროპოლამდე, კამენც-პოდოლსკიდან და ოდესიდან მოზდოკამდე და ასტრახანამდე), ციმბირში (პოლონელთა გადასახლების ადგილებში). 1814 წელს კათოლიკობა მიიღო ახალგაზრდა თავადმა **გოლიცინმა**, უწმიდესი სინოდი ობერ-პროკურორ თავად **ა. ნ. გოლიცინის** ნათესაემა. კათოლიკური ეკლესიის გავლენის ზრდის წინააღმდეგ 1815 წელს ხმა აიმაღლა მოსკოვის მიტროპოლიტმა **ფილარეტმა (დროზდოვმა)**. 1815 წელს ალექსანდრე I-მა იეზუიტები პეტერბურგიდან და მოსკოვიდან, ხოლო 1820 წელს რუსეთიდან გააძევა. კათოლიკეების გავლენის ზრდა მტივინულად აღიქვა უნიატურმა ეკლესიამ. კათოლიკეთაგან შევიწროვებულმა უნიატური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა **ირაკლიმ (ლისოვსკიმ)** 1803 წელს პეტერბურგში გაგზავნა დეკანოზი **იოანე კრასოვსკი** და უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი უნიატური სამწყსოსათვის შემწეობა ითხოვა. იმავე 1803 წელს ალექსანდრე I-მა გამოსცა ბრძანება, რომელიცკრძალავდა უნიატების კათოლიკური წესით მონათვლას. 1804 წელს ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად უნიატური ეკლესიის მართვის მიზნით პავლე I-ის დროს **კათოლიკური კოლეგიის** შემადგენლობაში შექმნილ **სამმართველოში** (რომლის წევრთა შორის არც ერთი უნიატი არ იყო), შეიყვანეს ერთი უნიატი ეპისკოპოსი და სამი უნიატი ასესორი. 1805 წელს კათოლიკური კოლეგია გაიყო ორ დეპარტამენტად – **კათოლიკურ დეპარტამენტად** და **უნიატურ დეპარტამენტად**. უნიატურიდეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა არქიეპისკოპოსი **ირაკლი (ლისოვსკი)**. 1806 წელს არქიეპისკოპოსი ირაკლი დამოუკიდებელი პიტროპოლიტის ხარისხში იქნა აყვანილი. ამის შემდეგ უნიატური ეკლესია მთლიანად გათავისუფლდა რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენისაგან. 1809 წელს მიტროპოლიტი ირაკლი გარდაიცვალა. მის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებლები იყვნენ ლუცკის ეპისკოპოსი **გრიგორი კონანვიჩი** (1814 წლიდან) და პოლოცკის არქიეპისკოპოსი **იოანე კრასოვსკი**. ეპისკოპოსი გრიგორი იმპერატორის მიერ დამოუკიდებელი მიტროპოლიტი მიტროპოლოტის ხარისხში იქნა აყვანილი. რაც შეეხება არქიეპისკოპოს **იოანეს** იგი ვერ იქნა აყვანილი მიტროპოლიტის ხარისხში, რადგან ცილი დასწამეს, 1817 წელს კათედრა დაატოვებინეს და მისი საქმე სასამართლოს გადასცეს. არქიეპისკოპოსის საქმე ძიებაში იყო მის გარდაცვალებამდე (1827 წ.). 1817 წელს მიტროპოლიტი გახდა ბრესტის ეპისკოპოსი **იოსაფატ ბულგაკი**. მიტროპოლიტი იოსაფატი კათოლიციზმის დიდ გავლენას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, კათოლიკეებმა მდგომარეობა ვერ განიმტკიცეს. მიტროპოლიტ **ირაკლისა (ლისოვსკისა)** და **არქიეპისკოპოს იოანეს (კრასოვსკის)** მოღვაწეობის შემდეგ უნიატური



ეკლესიის თეთრ სამღვდლოებაში გაძლიერდნენ კათოლიციზმის გავლენის მოწინააღმდეგენი. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ: **იოსებ სემაშკო, ვასილი ლუჟინსკი, ანტონ ზუბკო** და სხვები.

ვასილი ლუჟინსკი და ანტონ ზუბკო ქ. ლუცკში არქიეპისკოპოს ირაკლის (ლისოვსკის) მიერ დაარსებული სასულიერო სემინარიის აზრდილები იყვნენ. იოსებ სემაშკოს საერო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. შემდეგ სამივნი სწავლობდნენ ვილინის უნივერსიტეტში. ვილინის უნივერსიტეტის პრორექტორი იმხანად თავად **ადამ ჩარტორიციკი** იყო. ადამ ჩარტორიციკი ვერ იტანდა იეზუიტებს, ხოლო კათოლიკურ ფანატიზმს საშინაოდ მოვლენად მიიჩნევდა. ადამ ჩარტორიციკი ცდილობდა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორებში რადიკალიზმის აღმოფხვრას სხვა ელიგიების მიმართ, ცდილობდა მართლმადიდებლობის განმტკიცება ისე, რომ კათოლიკეებთან დაპირისპირება არ მომხდარიყო. ადამ ჩარტორიციკის მზუნველობის ქვეშ მყოფთა შორის **იოსებ სემაშკო** ყველაზე მეტად იყო გამსჭვალული. მართლმადიდებლობისადმი სიმპათიით. იოსებ სემაშკო უკრაინელი იყო, იგი კიევის გუბერნიაში დაიბადა. ქ. კიევსა და კიევის შემოგარენში უნიატიზმი ახლოს იდგა მართლმადიდებლობასთან (განსხვავებული ვითარება იყო უკრაინის სხვა რეგიონებში, სადაც უნიატიზმი კათოლიციზმის გავლენის ქვეშ იყო). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იოსებ სემაშკო მღვდლად აკურთხეს და ლუცკის ეპარქიაში გაგზავნეს. ორი წლის შემდეგ იგი ოცდაოთხი წლის ასაკში დეკანოზის ხარისხში აიყვანეს და ა კათოლიკური კოლეგიის უნიატური დეპარტამენტის **ასესორად** დანიშნეს. კათოლიკურ კოლეგიაში იგი შეუპოვრად ებრძოდა კოლეგიის წევრ კათოლიკე სასულიერო პირებს. იოსებ სემაშკო კარგად იცნობდა კათოლიკობას, უნიატიზმსა და მართლმადიდებლობას. ახალგაზრდა დეკანოზმა გადაწყვიტა უნიატური ეკლესიის დაცვა, როგორც რომის კათოლიკური ეკლესიისაგან, ისე პოლონელი კათოლიკე სამღვდლოებისაგან. იმპერატორ **ნიკოლოზ I-ის (1825-1855)** მიერ რუსეთის სახელმწიფო ძლიერების საფუძვლად **მართლმადიდებლობის, თვითმპყრობელობისა და ხალხურობის** გამოცხადებამ ფრთები შეასხა დეკანოზ იოსებ სემაშკოს ჩანაფიქრს. 1827 წელს ნიკოლოზ I-მა აკრძალა უნიატურ მონასტრებში კათოლიკეთა ბერად აღკვეცა და უკვე აღკვეცილთა მონასტრებში მიღება. იმპერატორის ბრძანება უნიატური ეკლესიის თეთრი სამღვდლოების განათლების დონის ამაღლებასაც ითვალისწინებდა. 1827 წელს იოსებ სემაშკომ ნიკოლოზ I-ს მიართვა მოხსენებით ბარათი, რომელშიც დაწვრილებით აღწერა რომის კათოლიკური ეკლესიის საძრახისი ქმედებები უნიატური ეკლესიის წინააღმდეგ. დეკანოზ იოსებ სემაშკოს უნიატურ ეკლესიაში შემქნილი მძიმე მდგომარეობის გაოსწორებისათვის აუცილებლად მიაჩნდა: 1) უნიატური ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადაეცათ **უნიატური კოლეგიისათვის**; 2) უნიატური ეკლესიის ოთხი ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო ორი – ბელორუსიისა და ლიტვისა; 3) უნდა გაუმჯობესებულიყო სწავლების ხარისხი უნიატური ეკლესიის სასულიერო სკოლებში; 4) უნდა აკრძალულიყო უნიატი ახალგაზრდების შეყვანა კათოლიკურ სკოლებში; 5) უნდა აკრძალულიყო უნიატთა მონათვლა კათოლიკური წესით; 6) უნდა გაუმჯობესებულიყო მონასტრების მართვა-გამგეობა. ნიკოლოზ I-ს იოსებ სემაშკოს მიერ მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული იდეები ჭკუაში დაუჯდა. 1828 წელს გაიხსნა **უნიატური კოლეგია**, რომელიც კათოლიკური კოლეგიისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. კოლეგიის წევრები გახდნენ **იოსებ სემაშკო, ანტონ ზუბკო** და **ვასილ ლუჟინსკი**. მალე დეკანოზი იოსებ სემაშკო უნიატური ეკლესიის პოლოცკის ეპარქიის ქორეპისკოპოსად იქნა ხელდასმული. გაიხსნა უნიატური სასულიერო სემინარია და რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ ხანებში უნიატური ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყებამ. აჯანყების

მოწყობაში დიდი როლი შეასრულა კათი ლიკურმა სამღვდელოებამ. ნიკოლოზ I-მა შური იძია. აჯანყებულებთან კავშირში შმენეული მონასტრები ან დახურეს, ან მართლმადიდებლებს გადასცეს. იმპერატორმა პოლონეთში აჯანყების ჩახშობისშემდეგ პრაქტიკულად განახორციელა დეკანოს იოსებ სემაშკოს მიერ მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული რეკომენდაციებიც. უნიატური ეკლესიის რამდენიმე ეპარქიის ნაცვლად დატოვებულ იქნა მხოლოდ ორი ეპარქია – ლიტვისა და ბელორუსიისა. 1833 წელს ლიტვის ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსად ხელდასმულ იქნა **იოსებ სემაშკო**. ბელორუსიის ეპარქიას ჯერ კიდევ განაგებდა კათოლიციზმის გავლენის ქვეშ მყოფი **იოსტაფ ბულგაკი**. მალე **ვასილი ლუჟინსკის** ქორეპისკოპოსად დაასხეს ხელი (ქორეპისკოპოსის რეზიდენცია ქ. პოლოცკში იყო). ქორეპისკოპოსად დაასხეს ხელი **ანტონ ზუბკოსაც**. იგი ლიტვის ეპარქიაში მოღვაწეობდა.

ეპისკოპოსი იოსები (სემაშკო) ყველაფერს აკეთებდა მართლმადიდებელთა და უნიატთა დაახლოებისათვის. უნიატურ ეკლესიაში ნელ-ნელა დაიწყო კათოლიკურის ნაცვლად მართლმადიდებლური წესების დამკვიდრება. 1834 წელს უნიატურ ეკლესიებს დაევზავნათ ღვთისმსახურების დროს საჭირო საკითხავები, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში გამოიყენებოდა. 1835 წელს უნიატური ეკლესიის სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებლები გადავიდა რუსეთის უწმიდესი სინოდის სასულიერო სასწავლებლების კომიტეტის დაქვემდებარებაში. 1837 წელს უნიატური ეკლესია რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობიდან გამოვიდა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს დაექვემდებარა. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნიატური ეკლესიის უწმიდესი სინოდისადმი დაქვემდებარების გზაზე. მთელი ამ დროის განმავლობაში უკვე საქვეყნოს ცნობილი უნიატური ეკლესიის იერარქები **იოსები (სემაშკო)**, **ვასილი (ლუჟინსკი)** და **ანატოლი (ზუბკო)** ბევრს მოგზაურობდნენ უნიატურ ეპარქიებში. მოგზაურობისას ისინი პირადად აცნობდნენ ეკლესიებისა და მონასტრები სამღვდელოებას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების გეგმას. 1838 წელს გარდაიცვალა უნიატური ბელორუსიის ეპარქიის მმართველი იერარქი, კათოლიციზმის გავლენის ქვეშ მყოფი მიტროპოლიტი **იოსტაფ ბულგაკი**. მისი გარდაცვალების შემდეგ მართლმადიდებლებთან გაერთიანების მომხრე უნიატური ეკლესიის იერარქებს **იოსებს**, **ვასილისა** და **ანტონის** მოწინააღმდეგე პრაქტიკულად აღარ ჰყავდათ. არქიეპისკოპოსი იოსები **უნიატური კოლეგიის** თანმჯდომარე, ეპისკოპოსი ვასილი **ბელორუსიის ეპარქიის** მმართველი ეპისკოპოსი გახდა. სასულიერო იერარქების იოსების, ვასილისა და ანტონის ხელმძღვანელობით დაიწყო ხელმოწერების შეგროვება უნიატური ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაერთიანების თაობაზე. თხოვნას ხელი არ მოაწერა მხოლოდ ბელორუსიის ეპარქიის ასამდე მღვდელმა. 1839 წლის 12 თებერვალს ქ. **პოლოცკში** გაიხსნა **უნიატური ეკლესიის კრება**. აქტს უნიატური ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების თაობაზე ხელი მოაწერა 1305 სასულიერო პირმა. 25 მარტს იმპერატორმა **ნიკოლოზ I-მა** თხოვნა შეიწყნარა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ქალაქების: **ვიტებსკის**, **ორშის**, **პოლოცკის**, **ვოლინის** მართლმადიდებლურ ტაძრებში საზეიმო მსახურება გაიმართა. შეერთების აღსანიშნავად დამზადებულ იქნა საგანგებო მედალიონი წარწერით: **„ძალდატანებით ჩამოშორებული (1596) შეერთებული იქნა სიყვარულით (1839).“** ამრიგად, უნიატური ეკლესია ნახევარ მილიონიანი მრევლით რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუერთდა.

უნიატური ეკლესიის იერარქებმა იმპერიის დასავლეთ რეგიონებში ეპარქიები მიიღეს: **იოსებმა (სემაშკომ)** – ლიტვის ეპარქია (1852 წ.), ვასილიმ (ლუჟინსკიმ) – პოლოცკის ეპარქია (1841 წ.), ანტონიმ (ზუბკომ) – მინსკის ეპარქია. არქიეპისკოპოსი იოსები მიტროპოლიტის ხარისხში იქნა აყვანილი. იგი 1867 წელს გარდაიცვალა. არქიეპისკოპოსმა **ვასილიმ** 1868 წელს ეპარქია დატოვა და გარდაცვალებამდე (1879 წ.) რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი იყო. არქიეპისკოპოსი **ანტონი** 1848 წლამდე განაგებდა მინსკის ეპარქიას. იგი 1884 წელს გარდაიცვალა.

უნიატური ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შეერთების შემდეგ (1839 წ.) უნიატური ეკლესიები და მონასტრები დარჩნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი პოლონეთის რტიტორიაზე (ვისლისპირეთში და ხელმის უნიატურ ეპარქიაში). ამ რეგიონების ეკლესიებისა და მონასტრების რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლა დაიწყო რუსეთის მიერ პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. ამჯერად უნიატების მართლმადიდებლებთან გაერთიანების ინიციატორი იყო უნიატი დეკანოზი **მარკელ პოპპელი**, რომელიც რუსეთის იმპერატორმა უნიატების ადგილობრივი იერარქის გარდაცვალების შემდეგ ეპარქიის ადმინისტრატორად დანიშნა. 1874 წელს **სედლეცის გუბერნიის** (პოლონეთი) უნიატები, 50 000 ადამიანი, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდნენ. 1874 წელსვე რუსეთის უნიატური ეკლესიის ხელმის ეპარქიის კრებამ მიიღო დადგენილება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების თაობაზე. 1874 წელს **მარკელ პოპპელი** ლუბლინის ეპარქიის ეპისკოპოსად იქნა ხელდასმული. იმავედროულად იგი გახდა ვარშავის მართლმადიდებლური ეპარქიის **ქორეპისკოპოსი**. 1878 წლიდან მარკელ პოპპელი იყო ჯერ **პოდლასკის** (პოლონეთი), ხოლო შემდეგ **პოლოცკის** (ბელორუსია) **ეპისკოპოსი**. 1874 წლის შემდეგ უნია შენარჩუნებული იყო მხოლოდ **გალიციის** ტერიტორიაზე, რომელიც 1795 წლიდან ავსტრიას ეკუთვნოდა.

რომის კათოლიკური ეკლესია, ცხადია, უკმაყოფილო დარჩა უნიატური ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შეერთებით. **კათოლიკური კოლეგია** ამ მოვლენების შემდეგაც აგრძელებდა რუსეთში მისიონერულ მოღვაწეობას. უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლობის ისეთი თავგამოდებული დამცველის დროსაც კი, როგორც იყო **ნიკოლოზ I (1825-1855)** ხდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთებული უნიატების კათოლიკურად მონათვლის შემთხვევები. უფრო მეტიც, იყო მართლმადიდებელთა მიერ კათოლიციზმის მიღების შემთხვევებიც. კათოლიციზმი აღიარეს რუსეთის არისტოკრატიული საგვარეულოების წარმომადგენლებმა (გაგარინებმა, გოლიცინებმა, მარტინოვებმა). მათი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. იმავედროულად მიმდინარეობდა საპირისპირო პროცესი – კათოლიკეთა მართლმადიდებლობაზე მოქცევა. 1840-1841 წლებში უნიატებთან ერთად მართლმადიდებლობა აღიარა 20 000-მა კათოლიკემ. კათოლიკეთა მართლმადიდებლად მოქცევის ახალი ტალღა დაიწყო პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. 1864 წელს მართლმადიდებლობაზე მოექცა 50 000 კათოლიკე, ძირითადად პოლონელები. მართლმადიდებლობაზე მოექცნენ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები **ჩეხები**. 1888-1889 წლებში **ვოლინის გუბერნიაში** (უკრაინა) 6 800 კათოლიკე ჩეხი მონათლა.

კათოლიკეებისა და უნიატების გარდა რუსეთის იმპერიის დასავლეთ რეგიონებში ცხოვრობდნენ **პროტესტანტები**. **პეტრე I-სა (1696-1725)** და **ეკატერინე II-ის (1762-1796)** .ეფუბის პერიოდში რუსეთმა დაიპყრო **ესტლანდია, ლიფლანდია, კურლანდია**, სადაც მრავლად ცხოვრობდნენ პროტესტანტები. დაპყრობილ ტერიტორიებზე დაიწყო მართლმადიდებლური ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა. XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ამ

რეგიონებში 20 000 ეკლესია და მონასტერე მოქმედებდა. 1836 წელს ქ. **რიგაში** დაარსდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ფსკოვის ეპარქიის საქორეპისკოპოსო. პირველმა ქორეპისკოპოსმა **ირინარხმა** ლიფლანდიასა და ესტლანდიაში მართლმადიდებლობის აქტიური პროპაგანდა დაიწყო. უკვე 1841 წელს ქორეპისკოპოს **ირინარხთან** გამოცხადდენ გლეხები და მართლმადიდებლობაზე მოქცევის თაობაზე თხოვნა მიართვეს. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობის ნაწილი მართლმადიდებლობის მიღებას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებად მიიჩნევდა. ქორეპისკოპოს **ირინარხის** მოღვაწეობას მტრულად შეხვდა ადგილობრივი არისტოკრატია. ქორეპისკოპოსს ბრალი დასდეს გლეხთა ამბოხების წაქეზებაში. **ირინარხი** რიგიდან გააძევეს, ხოლო მისი საქმე ძიებას გადაეცა. 1845 წელს ადგილი ჰქონდა გლეხთა ახალ მღელვარებას. ამჯერად რიგის არქიეპისკოპოსი იყო **ფილარეტ გუმილევსკი**. ქორეპისკოპოსს თავგამოდებით ებრძოდა კათოლიკური სამღვდელეობა და ადგილობრივი არისტოკრატია. 1845 წელს გამოცემულ იქნა იმპერატორის ბრძანება, რომელიც პროტესტანტის დაუყოვნებლივ მართლმადიდებლად მონათვლას კრძალავდა. თხოვნის დაწერიდან მონათვლამდე 6 თვე უნდა გასულიყო. ამ ექვსი თვის განმავლობაში მართლმადიდებლობაზე მოქცევის მსურველები საშინელ ზეწოლას განიცდიდენ და ხშირად უარს ამბობდენ მონათვლაზე. მიუხედავად ამისა 1845 წელს მართლმადიდებლობაზე მოექცა 14 430 პროტესტანტი, ხოლო 1848 წლისათვის მათი რაოდენობა 55 000 აღამიანამდე გაიზარდა. 1847 წელს რიგაში გაიხსნა **სასულიერო სასწავლებელი**, სადაც სწავლება ადგილობრივ ენებზე მიმდინარეობდა. 1848 წელს რიგის ქორეპისკოპოსად ხელდასმული იქნა **პლატონ გოროდეკი**. 1850 წელს რიგის საქორეპისკოპოსო დამოუკიდებ ეპარქიად გარდაიქმნა. 1883 წლიდან 1891 წლამდე რიგის ეპარქიაში 20 000 პროტესტანტი მონათლა. 1886 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა შვეიცარიიდან, **ევანგელისტა კავშირის** პრეზიდენტისა და წევრებისაგან მიიღო წერილი, რომელიც პროტესტანტთა მართლმადიდებლობაზე ოქცევის შეჩერებას ითხოვდა. ცხადია, ეს წერილი ვითარებას ვერ შეცვლიდა. მართლმადიდებლობის თავგამოდებული დამცველი იმპერატორი **ალექსანდრე III (1881-1894)** ბალტიისპირეთში საეკლესიო პოლიტიკის შეცვლას არ აპირებდა.

### თავი მეშვიდე. რუსეთის ეკლესიის განათლების კერები

რუსეთის სამღვდელეობის განათლების დონის ამაღლების საკითხი XIX საუკუნის დამდეგს დაწყებული რეფორმების პერიოდში დაისვა. ჯერ კიდევ **პეტრე I-მა (1696-1725)** გამოთქვა უკმაყოფილება **მოსკოვის სასულიერო აკადემიის** მუშაობით და აკადემიაზე მზრუნველობა რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლეს არქიეპისკოპოს **სტეფანეს** ( ) დაავალა. ამის შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემიის მუშაობა სწრაფად გაუმჯობესდა. მეუფე სტეფანემ მოსკოვის სასულიერო აკადემია **კიევის სასულიერო აკადემიის** მსგავსად მოაწყო. მოსკოვის სასულიერო აკადემიის **ბერძნულ-სლავური** განათლების სისტემა **რომაულ-კათოლიკურით** შეცვალა. კიევის სასულიერო აკადემიიდან გადმოიღეს სასწავლო პროცესის ორგანიზაცია: კლასებად დაყოფა, კურსების შემადგენლობა, სასწავლო თანამდებობები, დისპუტები, გამოცდები, თეატრალური წარმოდგენები და სხვ. ბერძნულ-სლავური განათლების სისტემის მომხრეები ამაოდ ცდილობდენ რაიმეს შეცვლას. ისინი ამტკიცებდენ, რომ ბერძნულ-სლავური სისტემის დანგრევას მიჰყვებოდა სხვაგვარი ერესის გაჩენა. რომაულ-ლათინური განათლების სისტემაზე გადავიდა **ჩერნიგოვის, როსტოვის, სმოლენსკის,**

**ტობოლსკის** ეპარქიების სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები. ბერძნულ-სლავური განათლების სისტემის მომხრე დარჩა **ველიკორუსიის** რამდენიმე ეპარქიის სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ნოვგოროდის მიტროპოლიტ **იობის** მოღვაწეობა.

მიტროპოლიტმა იობმა თავის ეპარქიაში თავშესაფარი მისცა მოსკოვის სასულიერო აკადემიიდან დათხოვნილ თუ თავისი ნებით წამოსულ მეცნიერებსა და პედაგოგებს. მათ შორის იყვნენ: **თეოდოსი იანოვსკი** და არქიმანდრიტი **გავრილ დომეცკი**. (მოგვიანებით არქიმანდრიტმა გავრილმა მიტროპოლიტ იობის ნლობა დაჰკარგა). 1706 წელს მიტროპოლიტმა იობმა ძმებ **სოფრონ** და **იოანე ლიხუდოვების** დახმარებით ნოვგოროდში დააარსა ორი სკოლა – **სლავური** და **სლავურ-ბერძნული**. ნოვგოროდის სლავურ-ბერძნულმა სკოლამ მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა. სკოლაში თავიდან ასამდე მოსწავლე იყო. ნოვგოროდის სლავურ-ბერძნულ სკოლაში რომაულ-კათოლიკური სკოლებიდა გაქცეული მოსწავლეები მიდიოდნენ. მიტროპოლიტი იობი დიდად კმაყოფილი იყო ძმებ ლიხუდოვების მოღვაწეობით და ოცნებობდა ნოვგოროდში მოსკოვის სასულიერო აკადემიის საპირისპიროდ ბერძნულ-სლავური აკადემია დაეარსებინა. მიტროპოლიტ იობს მოსკოვში სტამბის დაარსებაც სურდა, მაგრამ საერო ხელისუფლებამ ამის საშუალება არ მისცა. უფრო მეტიც, 1707 წელს **სოფრონ ლიდუხოვი** მოსკოვში გაიწვიეს. მოხუცი **იოანნიკე ლიდუხოვი** საქმეს მართო ვეღარ აუდიოდა. 1716 წელს მიტროპოლიტი იობი გარდაიცვალა და იოანნიკე ლიდუხოვიც მოსკოვში გადავიდა. ძმებ ლიდუხოვების მოსკოვში გადასვლის შემდეგ მათ დაწყებულ საქმეს მოწაფეებ აგრძელებდნენ. 1723 წელს ლიხუდოვების მოწაფემ, ნოვგოროდის სკოლის მასწავლებელმა **მაქსიმემ** გამოსცა **სლავური გრამატიკა**. ამ წიგნს იყენებდნენ რუსეთის ეკლესიის ეპარქიების სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები, ასევე საერო ხელისუფლების სხვადასხვა უწყება. მიტროპოლიტ იობის მემკვიდრემ ნოვგოროდის ახალმა მიტროპოლიტმა **თეოდოსიმ**, მიუხედავად იმისა, რომ რომაულ-კათოლიკური განათლების მომხრე იყო, ასე თუ ისე გააგრძელა წინამორბედის დაწყებული საქმე. ნოვგოროდში ძმებ ლიხუდოვების დაარსებული სკოლები 1726 წელს **თეოფანე პროპოკოვიჩმა** დახურა. გარდა ნოვგოროდისა, ბერძნულ-სლავური განათლების მნიშვნელოვანი კერა იყო მოსკოვის სტამბასთან არსებული სკოლა, რომელიც **სოფრონ ლიხუდოვმა** დააარსა.

რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის დაარსების (1721 წ.) შემდეგ სასულიერო განათლების საქმე გაუმჯობესდა. პეტრე I-ის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის მიხედვით, სასულიერო სასწავლებლები ნდა განსწავლესი ყველა ეპარქიაში. საეპარქიო სასწავლებელი ეპარქიის მმართველობას უნდა შეენახა. სასწავლებლების დაფინანსება ნაწილობრივ საეკლესიო და სამონასტრო მამულებიდან მიღებული შემოსავლებიდან უნდა მომხდარიყო.

1808 წლისათვის რუსეთში არსებობდა 4 სასულიერო აკადემია (კიევის, მოსკოვის, პეტერბურგისა და ყაზანის), 36 სასულიეროსემინარია და 115 სასულიერო სასწავლებელი. სასულიერო განათლების სისტემაში 29 000 მოსწავლე (სტუდენტი) იღებდა განათლებას. 1808 წელს რუსეთის ყველა ტიპის სასულიერო სასწავლო დაწესებულება (სასწავლებელი, დაწესებულება, აკადემია) დაექვემდებარა ერთ სასულიერო-სასწავლო უწყებას – **სასულიერო სასწავლებლების კომისიას**, რომელიც უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. **სასულიერო აკადემიაში** შეიძლება შესულიყო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, სემინარიაში სწავლის გაგრძელების უფლება ჰქონდა სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულს. ე.ი. რუსეთში დამკვიდრდა სასულიერო განათლების სამსაფეხურიანი სისტემა – **სასულიერო სასწავლებელი** (დაწყებითი), **სასულიერო სემინარია** (საშუალო) და **სასულიერო აკადემიან** (უმაღლესი). სასულიერო აკადემია არსებობდა კიევში,

მოსკოვში, პეტერბურგსა და ყაზანში. 1818 წელს ყაზანის სასულიერო აკადემია დროებით სასულიერო სემინარიად გადააკეთეს. აკადემია ყაზანში აღსდგა 1842 წელს. ერთი სასულიერო სემინარია უნდა ყოფილიყო ყველა ეპარქიაში. სასულიერო სასწავლებელი იხსნებოდა მაზრებში იმის გათვალისწინებით, რომ ერთ ეპარქიაში უნდა ყოფილიყო 10 სასულიერო სასწავლებელი. რუსეთში არსებობდა სასულიერო განათლების უმაღლესი საფეხური – **სამრევლო სკოლები**. ერთ საბლაგოჩინო ოკრუგში უნდა ყოფილიყო 30 სამრევლო სკოლა. სამრევლო სკოლას ცენზი არ ჰქონდა და მისი დასრულება სასულიერო მოღვაწეობის უფლებას არ იძლეოდა. სასულიერო უწყებაში სამსახურის უფლება ჰქონდა სასულიერო სასწავლებლის, სასულიერო სემინარიისა და სასულიერო აკადემიის ატესტატის (დიპლომის) მფლობელს. 1814 წელს გამოიცა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების წესდება. წესდება შეადგინა **მიხეილ სპერანსკიმ** და ეპისკოპოსმა **თეოფილაქტე რუსანოვმა**. სასულიერო სასწავლებლებსა და სასულიერო სემინარიებში სამღვდლოების შვილების შეყვანა სავალდებულოდ იქნა მიჩნეული. **ალექსანდრე I-ის (1801-1825)** მეფობის პერიოდში სასულიერო სასწავლებლებსა და სასულიერო სემინარიებში 46 000 მოსწავლე ირიცხებოდა. სასულიერო სასწავლებლებისა და სასულიერო სემინარიების შენახვა 1814 წლის მონაცემებით 9 23 350 მანეთი დაჯდა, 1820 წელს – 1 674 120 მანეთი.

სასულიერო განათლების სისტემის ახალი პროექტის მომზადება 1860-1866 წლებში მიმდინარეობდა. რეფორმის მომზადების მიზნით შეიქმნა **სპეციალური კომიტეტი**, რომელშიც შედიოდნენ: ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსები, სასულიერო აკადემიებისა და სასულიერო სემინარიების რექტორები, სასულიერო აკადემიის პროფესორები. რეფორმა დააჩქარა იმპერატორ **ალექსანდრე II-ის (1855-1881)** კეთილგანწყობამ – ხელისუფლებამ სახელმწიფო ხაზინიდან სასულიერო განათლების სისტემისათვის 1,5 მილიონი მანეთი გამოყო. 1867 წელს **სასულიერო-სასწავლო საქმეთა სამმართველოს** ნაცვლად შეიქმნა **სასულიერო-სასწავლო საქმეთა კომიტეტი**. კომიტეტს იმაზე გაცილებით უფრო დიდი უფლებები მიეცა ვიდრე სამმართველოს ჰქონდა. 1867 წელს დამტკიცდა სასულიერო სასწავლებლებისა და სასულიერო სემინარიების წესდება, 1869 წელს – სასულიერო აკადემიების წესდება. 1884 წელს კიდევ ერთი რეფორმა გატარდა. იმავე წელს დამტკიცდა ახალი წესდებები. XIX საუკუნის მიწურულს რუსეთში არსებობდა 4 სასულიერო აკადემია, 58 სასულიერო სემინარია და 185 სასულიერო სასწავლებელი.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო სისტემაში იმპერიის არსებობის წლებში სერიოზული რეფორმები აღარ გატარებულა.

* თავი პირველი. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდი ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდში (1801-1825) -----	3
* თავი მეორე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდი ნიკოლოზ I-ის მეფობის პერიოდში (1825-1855 წწ) -----	7
* თავი მესამე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები. რუსი სამღვდელოების მდგომარეობა -----	9
* თავი მეოთხე. მართლმადიდებლობის გავრცელება რუსეთის არაქრისტიან ხალხებში -----	13
* თავი მესამე. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1770-1814 წწ.) -----	15
* თავი მეექვსე. რუსეთის ეკლესიის ურთიერთობა კათოლიკეებთან და უნიატებთან -----	20
* თავი მეშვიდე. რუსეთის ეკლესიის განათლების კერები -----	28